ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს
№18 (1528)
27.02–1.03, 1997 წელი

## ფოფხაძე და პატიაშვილი მთავარს არ ამბობენ...

მეორე გვერდი

## ჩვენი ბრალი არ არის, ღმერთო!

როგორც გაზეთ „საქართველოს" მკითხველებს ახსოვთ, რედაქციამ 19 მწარე შეკითხვა გაუგზავნა საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ ვარდიკო ნადიბაიძეს.

მას შემდეგ, თითქმის, ორი თვე გავიდა.

გაიმართა გაზეთით მიწერ-მოწერა ბატონ მინისტრსა და „საქართველოს" რედაქტორს შორის. დადასტურდა ჩვენი ეჭვი, ბატონმა მინისტრმა რედაქციისადმი გამოგზავნილი თავაზიანი მომართვა პასუხებისათვის თავის არიდების საშუალებად გამოიყენა.

იძულებული ვართ შევასრულოთ დანაპირები და ნაცვლად რუბრიკისა — „ვინ იყო ვინ?" „მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის" — ბატონი მინისტრი დაუსწრებლად ვაქციოთ სტუმრად მისთვის არცთუ სასურველი რუბრიკისა — „პასუხგაუცემელი კითხვები, ანუ როცა სილაჩრე ცხადდება გონიერებად".

მომდევნო ნომრიდან მწარე შეკითხვებზე იხილავთ პასუხებს, ოღონდ თავდაცვის მინისტრის ოპონენტებისას...

## პირველი მარტიდან ვისაც ვალუტის გადამცვლელი პუნქტის შენარჩუნება ან გახსნა სურს, უნდა იცოდეს...

*გადამცვლელი პუნქტების მეპატრონეებისა და არა მხოლოდ მათთვის საინტერესო საკითხებზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზირების სამმართველოს უფროსი ქ-ნი ნათია მერაბიშვილი.*

**– როგორი წესით მოხდება ბანკებისაგან დამოუკიდებლად არსებულ გადამცვლელ პუნქტებზე ლიცენზიის გაცემა?**

– „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის თანახმად, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირებას და კონტროლს აწარმოებს ეროვნული ბანკი. ძირითადად ამით იყო განპირობებული რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის მიერ არასაბანკო ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისათვის შეტყობინების გაგზავნა პირველი მარტიდან მათი საქმიანობის შეჩერების შესახებ. დღემდე ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს, როგორც ეკონომიკურ სუბიექტებს, მკვეთრად ჩამოყალიბებული იურიდიული სტატუსი არ გააჩნდათ, ამიტომ საკმარისი იყო მათი მხოლოდ ადგილობრივ საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაცია. მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, ფიზიკური პირის მიერ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის გახსნა განიხილება როგორც ინდივიდუალური მეწარმის საქმიანობა, ხოლო იურიდიული პირი ეს თავისთავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა. ეს ორივე რეგისტრაციას გადის სასამართლოში, ასე რომ, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის გახსნის მსურველებმა უნდა იცოდნენ, რომ სანამ ეროვნულ ბანკს მიაკითხავენ ლიცენზიის მისაღებად, ვალდებულნი არიან, როგორც მეწარმეებმა, რეგისტრაცია გაიარონ სასამართლოში.

**– რა დამატებით, მანამდე არარსებულ მოთხოვნებს უნდა პასუხობდნენ გადამცვლელი პუნქტები?**

– 1995 წლის 31 იანვრის სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების თანახმად არასაბანკო ვალუტის გადამცვლელი პუნქტების განთავსება შეიძლებოდა სპეციალურად ამისთვის მოწყობილ ნებისმიერ ფართში, მათ შორის ჯიხურებში. რამდენადაც ეს ჯიხურები ფიქსირებულ გადასახადს იხდიდნენ, არ იყო საჭირო აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის ქონა, არც რაიმე დამატებითი მოთხოვნები. ხოლო დღესდღეობით ვალუტის გადამცვლელმა პუნქტებმა, როცა ისინი ამის სურვილს გამოთქვამენ, უნდა დააკმაყოფილონ ეროვნული ბანკის მოთხოვნები. ძირითადი მოთხოვნებია: პუნქტი უნდა იყოს განთავსებული კაპიტალურ შენობაში, უნდა ჰქონდეს სიგნალიზაცია, ტელეფონი, სეიფი, ფულის სასინჯი მანქანა და სხვა მოწყობილობები, რაც საჭიროა იმისათვის, რომ აღირიცხოს ყოველდღიური ყიდვა-გაყიდვის პროცესი. გარდა ამისა, ჩვენს მიერ შემოწმებას გაივლის პუნქტში მომუშავე მოლარე. ეროვნული ბანკის ექსპერტი შეამოწმებს მის ცოდნას, რამდენად იცის უცხოურ ვალუტასთან მუშაობა, შეუძლია თუ არა ყალბი ფულის ამოცნობა და ა.შ.

**– ხომ არ შექმნის ახალ სირთულეებს ეს სიახლე მოსახლეობისათვის, ხომ არ შეიქმნება საშიშროება, ფულის გადაცვლისას წარმოიქმნას სხვაობა ე.წ. ოფიციალურ და საბაზრო კურსებს შორის?**

– ჯერ ერთი, განსხვავება ოფიციალურ და საბაზრო კურსებს შორის ყოველთვის იყო და არის ჩვენზე ბევრად უფრო განვითარებულ ქვეყნებშიც კი, შეიძლება მინიმალური, მაგრამ მაინც არის. ფულის გადაცვლის კურსი დღესაც განსხვავებულია ქალაქის ცენტრში და ბაზრობის ტერიტორიაზე. რაც შეეხება სირთულეებს მოსახლეობისათვის, ალბათ, პირველ ეტაპზე, ანუ პირველი მარტის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში, თბილისში არსებული 503 არასაბანკო ვალუტის გადამცვლელი პუნქტიდან ყველა ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს და ყველა ერთდროულად ვერ მოახერხებს ლიცენზიის მიღებას, რის გამოც შეიძლება პუნქტების ისეთი დიდი რაოდენობა აღარ გვქონდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთი-ორი მაინც იქნება განთავსებული ისეთ სავაჭრო ტერიტორიაზე, როგორიცაა ბაზრობა. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თბილისის ტერიტორიაზე მოქმედებს კომერციული ბანკების 200-მდე გადამცვლელი პუნქტი, რომლებიც ცხადია, არ შეწყვეტენ მუშაობას. გარდა ამისა, უცხოური ვალუტის გადაცვლას აწარმოებენ თვითონ ბანკები თავიანთ ოფისებში. ასე რომ, რაიმე სერიოზულ შეფერხებებს ვალუტის გადაცვლის პროცესში არ უნდა ველოდოთ.

ესაუბრა
ამალია გოგრიაშვილი

## მჟავანაძემ ვაზგენის თხოვნით არაერთი სომეხი რეპატრიანტი ჩაასახლა აფხაზეთში, ისინი სომხეთის ჰავას ვერ ეგუებიან, ზღვის კლიმატს არიან შეჩვეულნიო!..

მეოთხე გვერდი

## ასტამურ ტარბა „თეთრი ლეგიონის“ შესახებ

აფხაზეთის ე.წ. უშიშროების სამსახურის თავმჯდომარემ ასტამურ ტარბამ განაცხადა, რომ მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, ბოლო დროს, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩადენილი ტერაქტები განხორციელებულია ქართველი დივერსიული ჯგუფების მიერ, რომელთაც საქართველოს სპეცსამსახურები აგზავნიან ზუგდიდიდან - გალისა და აფხაზეთის სხვა რაიონებში. მისივე განცხადებით, ეს არის „თეთრი ლეგიონი“, რომლის შემადგენლობაშიც 70-მდე მებრძოლი შედის და მათ შესახებ ა.ტარბას (მისივე თქმით) სრული ინფორმაცია გააჩნია.

იმ შემთხვევაში, თუ მისცემენ საშუალება ფართომასშტაბიანი ოპერაციები განახორციელონ რფ-ის სამშვიდობო ძალების კონტროლის ქვეშ მყოფ გალის რაიონის ქვემო ზონის სოფლებში, ასტამურ ტარბას თქმით, აფხაზეთის ე.წ. უშიშროების სამსახური შესძლებს გაწმინდოს ეს რეგიონი ტერორისტებისაგან. (იბერია)

## „თეთრი ლეგიონი“ აცხადებს...

სააგენტოს კორესპონდენტს ქზუგდიდის გამგეობიდან აცნობეს, რომ შეიარაღებული ფორმირება „თეთრი ლეგიონის“ ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, პარტიზანული მოძრაობა „თეთრი ლეგიონი“ პასუხისმგებლობას იღებს ბევრი დივერსიული აქტის განხორციელებასთან დაკავშირებით ოჩამჩირისა და გალის რაიონებში, მაგრამ ბოლო დივერსიული აქტები, რომლებიც მიმართული იყო რუსი სამხედროების მიმართ და რომელთა შედეგადაც რამდენიმე რუსი ჯარისკაცი დაიღუპა, მათი ჩადენილი არ არის. (იბერია)

## მიმდინარეობს რფ-ის საზღვაო ძალთა დაშლის ოპერაცია

მოსკოვიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად, ოჩამჩირეში მიმდინარეობს რფ-ის სამხედრო-საზღვაო ძალთა დაშლის ოპერაცია. აფხაზ სეპარატისტთა და რფ-ის შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენლებს შორის, ფაქტიურად, მიღწეულია შეთანხმება, რომლის თანახმადაც, რუსი სამხედროები ტოვებენ ოჩამჩირეს და გააქვს შეიარაღებისა და აღჭურვილობის ნაწილი, ხოლო ნაწილს ისინი აფხაზებს უტოვებენ. აღნიშნული შეთანხმებით ეს ბაზა აფხაზურ მხარეს უნდა დარჩეს. (იბერია)

## ქართულმა დელეგაციამ კონფერენცია დატოვა

18-21 თებერვალს სომხეთში, წახკაძორში ჩატარდა კონფერენცია „მშვიდობიანი კავკასიის ახალი რეალიები“, რომლის ინიციატორები იყვნენ სომხეთის ახალგაზრდული და სტუდენტური ორგანიზაციები. აღმოჩნდა, რომ საქართველოს დელეგაციასთან ერთად სუვერენული რესპუბლიკის სტატუსით კონფერენციაზე მიწვეული იყო აფხაზეთის ახალგაზრდული დელეგაციაც.

პროტესტის ნიშნად ქართულმა დელეგაციამ კონფერენცია დატოვა. (იბერია)

# ფოფხაძე და პატიაშვილი მთავარს არ ამბობენ...

ნოდარ ნათაძე

*გაზეთმა „საქართველომ“, რა თქმა უნდა, მასალების უძვირფასესი ფონდი შექმნა იმ ამბების მომავალი შესწავლისათვის და პროცესუალური გამოძიებისათვის, რაც საქართველოში 1987-97 წლებში მოხდა. მაგრამ ეს პუბლიკაციები სრულებითაც ვერ ცვლის მომხდარის სწორედ გამოძიებას და ვერ აუქმებს მის აუცილებლობას. გამოქვეყნებული მასალები, რაღა თქმა უნდა, უზუსტობასაც შეიცავს და, რაც მთავარია, არსებითი სიმართლის დაფარვასაც, რომელსაც ნებით, ალბათ, არავინ აღიარებს მანამდე, სანამ გამოძიების ლოგიკა მის აღიარებას არ აიძულებს. მინდა ერთი-ორი შენიშვნა მოგახსენოთ ჭეშმარიტებიდან გადაცდომის ამ ორსავე ფორმაზე - კერძო ეპიზოდების არასწორ გადმოცემაზეც და მთავარი სიმართლის დამალვაზე ან, უბრალოდ, არხსენებაზეც.*

ა.წ. 23-27 იანვრის ნომერში ბ-ნი ნ.ფოფხაძე წერს:

„...არასოდეს დამავიწყდება ბ-ნ ნოდარ ნათაძის გულწრფელობა... მთავრობის სახლის წინ 1989 წლის 26 მარტის გამთენიისას გამართული მიტინგის მონაწილეთა ხელისუფლებასთან დაპირისპირებისას იგი მოვიწვიეთ მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტში, სადაც მოწმე გახდა იდეოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელთა კამათისა ცკ-ს მეორე მდივანთან.

როცა აშკარა გახდა, რომ შინაგანი ჯარის სპეცდანაყოფმა დილის 4 საათზე მიიღო ცკ-ს ხელმძღვანელობის მითითება და დაიძრა მომიტინგეებისკენ, ცკ-ს იდეოლოგიური განყოფილების გამგე ვაჟა ლორთქიფანიძე, ჩემი დავალებით, მათ წინ გადაუდგა, მე კი იმავ წუთს დავუკავშირდი პატიაშვილს... მისი თანხმობით ოთარ ჩერქეზიასთან ერთად პირობა მივეცით ნ.ნათაძეს, რომ უახლოეს დღეებში შესრულდებოდა მომიტინგეთა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა - გაანთავისუფლებდნენ მათი შეხედულებით, სრულიად უკანონოდ დაპატიმრებულ ორ „არაფორმალს“. ნათაძე გვენდო და სათანადო რჩევა-წინადადებით მიმართა მომიტინგეებს. ქ-ნმა ლუიზა შაკიაშვილმა ნათაძეს გარანტია მოსთხოვა, რაზედაც მან უპასუხა: გარანტია ჩემი სიცოცხლეაო! მე ვენდე პატიაშვილს, ჩერქეზიას და ფოფხაძეს და თუ მათ პირობა არ შეასრულეს, უნივერსიტეტის ბაღში შუბლში ტყვიას ვიშვლიპავო! (ეს მისი ფრაზაა). მე გამაჟრჟოლა...

მიტინგი შეწყდა. პოლიტიკური ვითარება განიმუხტა-ორ საათში დაიწყო სსრკ სახალხო დეპუტატთა არჩევნები.

ჩვენც-ჩერქეზია და მე, ბიუროს სხვა წევრებთან ერთად, ცკ-ს პირველ მდივანთან ოპერატიულ თათბირზე გამოვცხადდით. მოვახსენეთ ყოველივე. მე, რა თქმა უნდა, ნათაძის გამოსვლის შესახებაც მოვყევი და მოვითხოვე ცკ-ს უმაღლესი ხელმძღვანელობის სახელით მიცემული პირობის შესრულება. პასუხიც მივიღე, „ვაჟკაცური“, ერთობ „ზნეობრივი“: ვინც დაპირდა, იმანვე გამოუშვასო!“

შეჩერდები სწორედ ამ ეპიზოდზე და სხვაობას დაინახავთ. იმ ღამეს, გარეთ რომ მიტინგი იწყებოდა (საშიმშილოდ ჯდებოდა ახალგაზრდობის ჯგუფი, პატიმართა გამოშვების მოთხოვნით), მე ექვსჯერ შევედი ხელისუფალთა შტაბში, რომელიც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში იყო განლაგებული - ერთხელ ზგამსახურდიასთან ერთად და ხუთჯერ მარტო. ნ.ფოფხაძე იქ იყო. იყო ნიკოლსკიც, რომელსაც სახით არ ვიცნობდი. რომ ვიკითხე ჩუმად, ვინ არის-მეთქი, ფოფხაძემ მითხრა: „აბა, მაგას უნდა იცნობდეთ, თორემ ჩემ ცნობას რა ჭკუა აქვსო“. ნიკოლსკის აგრესიულად ეჭირა თავი და ტელეფონით ბრძანებებს იძლეოდა, მათ შორის შემდეგს: „В два часа приступить!“ სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ფარიანების (მერვე პოლკის) იერიში დემონსტრანტებზე ამ დროს უნდა დაწყებულიყო. ყოველ შესვლაზე თითოჯერ ან რამდენჯერმე ველაპარაკე ჯ.პატიაშვილს ტელეფონით. (ხაზს დაუბრკოლებლად მაძლევდნენ). იყო ერთადერთი მოთხოვნა ჩვენი მხრიდან - პატიმრების გამოშვების პირობა. მთავრობის თავმჯდომარე ჩერქეზია კატეგორიულ უარს ამბობდა და... სახლში წასვლას აპირებდა დასაძინებლად. პატიაშვილიც უარზე იყო (არ შემიძლიაო), მაგრამ ბოლოს დათანხმდა. მითხრა ტელეფონში, გადით და ჩემი პირობა უთხარით, რომ გამოვუშვებო. გარანტია მინდა-მეთქი. გარანტიას გაძლევთო. მაშინ მე ვუთხარი: სხვა გზა არა მაქვს, გარანტია მე ჩემი მხრით უნდა დავთქვა. თუ სამ დღეში არ გამოუშვებთ, უნივერსიტეტის ბაღში ტყვია უნდა ვიხალო-მეთქი, პატიაშვილმა მითხრა: მიეცით ეგ გარანტიაო. გავედი და მივეცი ეს გარანტია შეკრებილებს. მაშინ ირაკლი წერეთელმა თქვა: არა, ჩვენ ვერ მივიღებთ ამ პირობას. ერთიც ვნახოთ, მოგვატყუებს და ყველაფერი ასე მოხდა. პატიაშვილი ხომ მოსაკლავი გაგვიხდებაო. მე მეწყინა და წავედი შინ, მაგრამ მაინც დავბრუნდი ნახევარ საათში. დავინახე: ო.ჩერქეზია (რომელიც შინ წასვლას აპირებდა დასაძინებლად) დგას ხალხის წინაშე და პატიმრების გამოშვების პირობას დებს. ხალხი დაიშალა. მეორე დღეს პატიმრები გამოუშვეს.

მეორე შესწორება. ნ.ფოფხაძე საჭიროდ თვლის იმ ფაქტის *ახსნას*, რომ მან ზგამსახურდია დაასახელა „სახალხო ფრონტის“ საინიციატივო ჯგუფის (ანუ ამ ჯერ კიდევ შეუქმნელი დასაკანონებელი პოლიტორგანიზაციის გამგეობის) წევრად. ეს ფაქტი ახსნას *არ საჭიროებს*. ფოფხაძეს რომ არ დაესახელებინა, დაასახელებდა სხვა (არა ინიციატორთაგანი),იმდენად ბუნებრივი იყო ეს. რეალურ ისტორიასაც მოგახსენებთ. სახალხო ფრონტი ჩაისახა ირ.შენგელაიას ბინაში მოწყობილ შეხვედრაზე 1988 წლის შემოდგომაზე, იმ დღეს, როცა პლეხანოვის გამზირს დავით ალმაშენებლის სახელი ეწოდა. პროგრამად თქვენი მონა-მორჩილის ტექსტი გახლდათ. ზგამსახურდიაც, რა თქმა უნდა, იქ იყო. რატომ „სახალხო“ და არა „ეროვნული“ ფრონტი? პირადად იმ აზრზე ვიყავი, რომ სიტყვა „ეროვნული“ უნდა შემოვინახოთ იმ დროისათვის, თუ „სახალხო ფრონტი“ მეტისმეტად მოგვიდუნეს მისი ოფიციალური ხასიათის გამო და ახლის შექმნა დაგვჭირდა.

შემდეგი უსწორობა. ნ.ფოფხაძის მიხედვით, 1989 წლის აპრილის მიტინგი 6 აპრილამდე ეძღვნებოდა „აფხაზეთის ტკივილს“ და შემდეგლა გადაინაცვლა სხვა საკითხებზე, სინამდვილეში მიტინგის თემა *მთლიანად შეიცვალა* 4 აპრილს (ეს ჭანტურიას ჯგუფის დამსახურება იყო): მოიხსნა *ყველა* თემა, აფხაზეთის ჩათვლით, და დარჩა ერთადერთი: საქართველოს დამოუკიდებლობა.

შემდეგი უსწორობა. როცა ლაპარაკია ჯ.პატიაშვილის *გასვლაზე* მთავრობის სახლის წინ, რაც მან არ შეასრულა, არ იგულისხმება მისი გასვლა *მომიტინგეებთან სალაპარაკოდ*, როგორც ნ.ფოფხაძეს ესმის. ლაპარაკია მის გასვლაზე *მტრის წინ აღსადგომად*, რომელიც მისი მოქალაქეების დასახოცად მოდის. პატიაშვილის მოვალეობა სწორედ ეს გახლდათ და არა სხვა რამ.

შემდეგი უსწორობა. ნ.ფოფხაძე ცალმხრივად ამარტივებს ვითარებას, როცა აღწერს კომუნისტური ცენზურის სისტემის თანდათანობით რღვევას და თავისუფალი შემოქმედების თანდათან მომძლავრებას ქართული კულტურის სფეროში, რაც წინ უსწრებდა 1987 წლიდან დაწყებულ ეროვნულ აღმავლობას და რაც საქართველოში, ნაწილობრივ, შევარდნაძის მმართველობის წლებს დაემთხვა. კომუნისტური ცენზურის რღვევა კომუნიზმის დამარცხების შედეგი იყო და არა მისი კეთილი ნებისა და ეს მათემატიკური სიზუსტით დამტკიცებადი გახლავთ შემდეგი მარტივი მსჯელობის გამოყენებით: ხელისუფლებას პოეტის ან რეჟისორის დაჭერა აღარ შეეძლო. არც მისთვის ფანქრის წართმევა ან ეკრანისკენ გზის რადიკალურად და ყრუდ გადაკეტვა. ახლა დავსვათ კითხვა: აძლევდა თუ არა დიქტატურას ხელს ის, რომ *არაოფიციალური* მწერლობა (ე.წ. „თვითგამოცემები“) ოფიციალურზე *შეუდარებლად* უკეთესი ყოფილიყო (რომ, მაგალითად, ქართული მწერლობის დღევანდელი ფლაგმანის ოჭილაძის რომანები მხოლოდ „მარცხენა“ წესით გავრცელებულიყო) ცხადია, არა! ამიტომაც აუცილებელი იყო მედროვე ლიტერატურასა და კინოსთან ერთად კარგი ლიტერატურისა და კინოს ოფიციალური დაშვებაც და იგი დაიშვა კიდეც. აი, მთელი საიდუმლო ცეკას მდივნების იმ „პატრიოტული“ მფარველობითი მოღვაწეობისა, რომელსაც ნ.ფოფხაძემ გაზეთ „საქართველოში“ რამდენიმე ნომრის დიდი ნაწილი მიუძღვნა. ნ.ფოფხაძე *აცალმხრივებს* ამ სურათს იმით, რომ არ წერს, რას და რას აკეთებდა იმპერიული ხელისუფლება საქართველოში *იმავე დროს*, როცა აქ ქართული საქმისათვის გაფაჩუნება დაშვებული იყო. მაგალითად, არაა ნათქვამი, რომ იგი ავრცელებდა ნარკომანიას ქართველ ახალგაზრდობაში. ან რომ იგი ქართველი მაფიოზების და მექრთამეების დახმარებით ორგანიზებულად უწყობდა ხელს მიწის გადასვლას *მხოლოდ არაქართველი* მოსახლეობის ხელში. ამ და მრავალი ანალოგიური მოქმედების არხსენება რეალური მდგომარეობის არდახატვას ნიშნავს!

ახლა კი მთავარს მივადექით. მე აღვნიშნე რამდენიმე პუნქტი, რომელშიც ნ.ფოფხაძე იმას წერს, რაც მართალი არ არის. შეიძლებოდა სხვაც დაგვესახელებინა, მაგრამ წვრილმანებს ნუ გავყვებით, უფრო არსებითია პუნქტი, რომელშიც ჯ.პატიაშვილი და ნ.ფოფხაძე *არ წერენ იმას, რაც მართალია*, კერძოდ, არ წერენ იმას, *ქართველ ხელისუფალთა შორის ვისგან, როდის და რა ფორმით მიიღო სსრკ ხელისუფლებამ 9 აპრილს ძალის გამოყენების სანქცია, ნებართვა, „თხოვნა“ ან „მოთხოვნა“*, რის გარეშეც იგი, დაუწერელი და ურყევი კანონის მიხედვით, თავის კოლონიაში სისხლს არ დაღვრიდა? თითქმის ცხადია, რომ რუსეთმა ქართველი ერის წინააღმდეგ ძალის გამოყენების გადაწყვეტილება მიიღო არა უგვიანეს 25 თებერვლის სამგლოვიარო აქციისა, რომელიც ძალიან მწვავე იყო და რომელშიც ქართველმა ერმა თავისი ქვეყნის იმპერიაში შესვლა იგლოვა. მაგრამ როდის და რა ფორმით დაითანხმეს ამ დასჯისათვის საქართველოს მარიონეტი ხელისუფალნი? ნ.ფოფხაძე უხალისოდ გვაცნობებს, რომ აგრესიული გეგმა, რომელიც ლიდერთა დაპატიმრებას შეიცავდა, მაგრამ *სისხლის ღვრას არ შეიცავდა* და რომელსაც „აქტივად“ წოდებული ხროვა, თურმე, ალტაცებით შეხვდა, აქტივის წინაშე მას წააკითხეს. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია, სადაა დანაშაულის დანარჩენი, ძირითადი შემადგენლობა? აქ ხომ ლაპარაკია არა პატრიოტ ლიდერთა დაპატიმრების მოთხოვნაზე, რაც იმ გეგმაში იყო, არამედ სისხლის დაღვრის მოთხოვნაზე. ვინ და ვინ მოაწერა მას ხელი? ვინ მოითხოვა საქართველოში რუსის ჯარის ჩარევა? ეს კითხვა ადრე თუ გვიან უსათუოდ დაისმება *პროცესუალური გამოძიების* მიერ. პატიაშვილი-ფოფხაძის ურთიერთკონფლიქტური ინფორმაცია ამ კითხვის პასუხისთვის წინ წადგმულ ნაბიჯს არ *წარმოადგენს*.

მაინც შევეცადოთ ამ ინფორმაციიდან ანალიზის წესით ერთი-ორი ახალი მარცვალი ამოვიღოთ.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბუშინ, გამომცემლობა „მერანის“ შენობის მესამე სართულის ორ ოთახს, რომელშიდაც გაზეთ „სამშობლო ფორტეს“ რედაქცია იყო მოთავსებული, ცეცხლი გაუჩნდა.

შემთხვევის ადგილზე მისულ პრესის მუშაკებს თანამშრომელი ქალი წინ გადაეღობა და ნახანძრალის გადაღების საშუალება არ მისცა.

ამიტომ ჩვენმა კორესპონდენტმა ნახანძრალი შენობის გარეთა ხედის გადაღება შეძლო მხოლოდ.

## საქართველოს თუ სურს რაიმე მიიღოს რუსეთისაგან...

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ლევ როხლინმა 25 თებერვალს განაცხადა, რომ საქართველო და სომხეთი დაინტერესებულნი არიან, იქონიონ რუსეთის სამხედრო ბაზები თავიანთ ტერიტორიაზე. ლ.როხლინის თქმით, ამის თაობაზე მოლაპარაკებები გრძელდება და აღნიშნული საკითხი ორივე მხარისათვის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. თუ საქართველოს სურს რაიმე მიიღოს რუსეთისაგან, მაშინ უნდა დაფიქსირდეს და იურიდიულად გაფორმდეს ის პირობები, რომლის თანახმადაც რუსეთი გადასცემს საქართველოს ამა თუ იმ შეიარაღებას. მისივე განცხადებით, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროში არიან დეპუტატები, რომლებიც წინააღმდეგნი არიან საქართველოსათვის იარაღის გადაცემისა. მაგრამ, მისივე თქმით, იურიდიულად მკაცრად უნდა იქნას დაფიქსირებული, რომ საქართველოსათვის გადმოცემული იარაღი არ იქნება გამოყენებული აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ წინააღმდეგ. (იბერია)

## შედგა ოთხმხრივი შეხვედრა

ბუშინ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში შედგა ოთხმხრივი შეხვედრა, რომელზეც განიხილეს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარება.

შეხვედრაზე კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულმა რფ-ის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა ულტიმატუმის სახით განაცხადეს, რომ უკანასკნელ ხანს გალის რაიონის ტერიტორიაზე გახშირებულ აფეთქებებს აწარმოებენ ქართული დივერსიული ჯგუფები. რუსეთის მხარის განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა თავის თავზე მთლიანად საქართველოს მხარემ უნდა აიღოს. ამავე დროს ქართველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს მკაცრი კონტროლი მდ.ენგურის გადასასვლელებზე, რათა დივერსიულ დაჯგუფებებს არ მიეცეთ საშუალება გალის რაიონის ტერიტორიაზე შეღწევისა.

შეხვედრაზე აფხაზური მხარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თუ კვლავ გაგრძელდება დივერსიული აქტები, აფხაზური მხარე იძულებული იქნება ჩაატაროს წმენდითი ოპერაცია რაიონის ტერიტორიაზე. რაც შეეხება დღემდე დაკარგულ სოფ.ოტობაიას მკვიდრ ფეტელავას, შეხვედრაზე აფხაზურმა მხარემ განაცხადა, რომ იგი მათ მიერ არის დაკავებული თითქოსდა დივერსიულ აქტებში ხელშეწყობასთან დაკავშირებით. (იბერია)

გამოხმაურება წერილზე „ვაი ეგეთას სამართალს“

# ვაი და ვუი ესეთ ადვოკატს!

გაზეთ „საქართველოს“
მთავარ რედაქტორს
ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ, თქვენი გაზეთის 1997 წლის 17-20 თებერვლის ნომერში მესამე გვერდზე გამოქვეყნებული იქნა ადვოკატ თენგიზ ბეჟაშვილის წერილი „ვაი, ეგეთას სამართალს“, რომელშიც ადვოკატი ბეჟაშვილი აღნიშნავს, რომ 1996 წლის 6 ივნისს ჩაერთო ერთ სამოქალაქო საქმეში, მაგრამ ვაკის რაიონის სასამართლოზე შთაბეჭდილება პირველად მაშინ დაკარგა, როდესაც მისი ორდერი, რომელიც მან, სასამართლოს კანცელარიაში ჩააბარა, დაიკარგა. ადვოკატმა ბეჟაშვილმა, როგორც იურისტმა, უნდა იცოდეს, რომ ორდერი არა კანცელარიას ბარდება, არამედ უშუალოდ უნდა წარუდგინოს იმ მოსამართლეს, რომელიც იხილავს იმ საქმეს, რომელზედაც ორდერია გაწერილი. მეორე შთაბეჭდილება თურმე სტაჟიან ადვოკატ ბეჟაშვილს მაშინ წაუხდა, როდესაც თურმე საქმის განხილვა ექვს თვეს გაგრძელდა, მაგრამ იგი საქმის განხილვის გაგრძელების მოტივებს არ ასახელებს. საქმის განხილვის გაჭიანურების პირველი მიზეზი თვით ადვოკატი ბეჟაშვილია, რომელმაც იცოდა რა, რომ შვებულებაში მიდიოდა, ორდერი მაინც გააფორმა საქმეზე, შემდეგ თავის მარწმუნებელს ლ.ქადაგიშვილს განცხადება დააწერინა, რომ იგი ვინაიდან აზრების მოსაკრებად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მიდის დასასვენებლად, საქმის განხილვა შეაჩერონ 1996 წლის 22 ივლისამდე. აღნიშნული საქმის განხილვა 30 ივლისს დაინიშნა, მაგრამ სასამართლო სხდომაზე გამოირკვა, რომ ტექაღრიცხვის ბიუროდან საჭირო იყო გარკვეული საბუთების გამოთხოვა, რაც თავის დროზე საქმით დაინტერესებულ ადვოკატ ბეჟაშვილს თვით უნდა გაეკეთებინა იმიტომ, რომ სამოქალაქო სამართალში მხარის ინტერესების დამცველი ადვოკატი თვითონ აგროვებს თავის პოზიციის გასამაგრებელ საბუთებს.

30 ივლისს გამოთხოვილი საბუთები სასამართლოში მხოლოდ 1996 წლის 29 აგვისტოს შემოვიდა, საქმე რამოდენიმეჯერ დაინიშნა განსახილველად, მაგრამ 5 დეკემბრამდე მისი განხილვა ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ გრძელდებოდა სისხლის სამართლის საქმეების განხილვა, რის შესახებაც საქმეში ოფიციალური ცნობებია, ამ პერიოდში განხილული იქნა ორი ყაჩაღობის რთული საქმე და ერთი მკვლელობის საქმე. ადვოკატმა ბეჟაშვილმა ის კი დანამდვილებით იცოდა, რომ საქმე განსახილველად მოსამართლე გია ბადაგაძეს 1996 წლის 24 ივნისს გადასცეს, მაგრამ მან იცის თუ არა, რომ იურისპრუდენციაში არის ასეთი ტერმინი – საქმის განხილვის უწყვეტობის პრინციპი, ეს კი საკითხავია, რადგანაც ადვოკატი, რომელიც საქმეში ჩახედულია, აღნიშნულ წერილში ასეთ უმეცრებას არ დაწერდა, მითუმეტეს, რომ თვით იმ საქმის განხილვა, რომელზეც თურმე მას გული ასე შესტკივა, 5 დღეს გაგრძელდა. მესამე შთაბეჭდილება ადვოკატ ბეჟაშვილს მაშინ წახდენია, რომ გადაწყვეტილება მხოლოდ 1997 წლის 20 იანვარს უხილავს. ადვოკატ ბეჟაშვილს გადაწყვეტილების ნახვა შეეძლო 1996 წლის 9 დეკემბერს, როდესაც ის გამოქვეყნდა სასამართლოს მიერ, მაგრამ ბეჟაშვილი საქმეებით ისეთი გადატვირთული პიროვნებაა, რომ გადაწყვეტილების გამოქვეყნებას ვერ დაესწრო.

მეოთხე შთაბეჭდილება ბატონ სტაჟიან ადვოკატს მაშინ წაუხდა თურმე, როცა მოსამართლე გ.ბადაგაძეს თავისი გადაწყვეტილებით მისი მოთხოვნა არ დაუკმაყოფილებია და ამით მისი ადვოკატად მუშაობის მანძილზე მოუხსნია უკანონობისა და უსამართლობის ყველა რეკორდი. ადვოკატმა ბეჟაშვილმა, როგორც იურისტმა, უნდა იცოდეს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილება მოსამართლეს კი არ გამოაქვს, არამედ სასამართლოს და რომ სასამართლოს შემადგენლობაში მოსამართლის გარდა ორი მსაჯულიც არის, რომლებიც თანასწორუფლებიანები არიან საქმის გადაწყვეტილებისას ისევე, როგორც მოსამართლე და გადაწყვეტილების მიღება ხმების უბრალო უმრავლესობით ხდება რას დაწერდა ადვოკატი ბეჟაშვილი მოცემულ წერილში, მოსამართლე გ.ბადაგაძე საქმის გადაწყვეტისას განსაკუთრებულ აზრზე რომ დარჩენილიყო, მაგრამ უკვე საკითხავია სილნაღელმა ადვოკატმა თუ იცის, რას ნიშნავს განსაკუთრებულ აზრზე დარჩენა?

ვაკის რაიონის სასამართლოს და პირადად მოსამართლე ბადაგაძეს თურმე სამოქალაქო სამართალში რევოლუცია მოუხდენიათ და გადაწყვეტილებაში მიუთითებია, რომ შვილს უფლება აქვს დედას ედაოს. რა არ მოეწონა ბეჟაშვილს, ის, რომ დედა მისი დაცვის ქვეშაა და შვილი შეიძლება მას მოედაოს იმ საკითხზე, რომ დედამისმა მის ფარულად განკარგა მისი ქონება?.

ამავე წერილში იგი აღნიშნავს, რომ ქთბილისის ვაკის ელიტარული სასამართლო თავის სიმაღლეზეა და ახლა ჯერი თურმე ქალაქის სასამართლოზეა. სტაჟიან ადვოკატს ამ წერილით ქალაქის სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენა სურდა, მაგრამ ვაი მისსა იურისტობას. მან ისიც არ იცის, რომ საქმეზე სიმართლე სასამართლოში. უნდა ამტკიცო ფაქტებით და არა გაზეთის ფურცლებზე ილუზიებით.

ქთბილისის ვაკის რაიონის ელიტარული სასამართლოს 1996 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ კონკრეტულ საქმეზე, რომელზედაც სიღნაღელი ადვოკატი ბეჟაშვილი დაობს, ქალაქის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საკასაციო კოლეგიამ თავისი 1997 წ. 18 თებერვლის განჩინებით ძალაში დატოვა, ხოლო სიღნაღის საკასაციო საჩივარი დაუკმაყოფილებლად.

გ.ბადაგაძე
ქ.თბილისის ვაკის
რაიონის მოსამართლე

## რფ-ის შეიარაღებული ძალების შტაბში ჩატარებულ შეკრებას სეპარატისტებიც ესწრებოდნენ

სოხუმში 25 თებერვალს, აფხაზეთში დისლოცირებული რფ-ის შეიარაღებული ძალების შტაბში, ჩატარდა თათბირი, რომელზეც მონაწილეობა მიიღეს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერებმა. თათბირზე დორიან ბაბენკოემა განაცხადა, რომ თუ გალის რაიონში არ შეწყდება ქართველი ტერორისტების მიერ რუსი სამხედროების წინააღმდეგ ჩადენილი ტერორისტული აქტები, რფ-ის სამშვიდობო ძალები მიმიღებენ ადექვატურ ზომებს და მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იმათ, ვინც მხარს უჭერს ამ დივერსიული რაზმების შეგზავნას აფხაზეთის ტერიტორიაზე. (იბერია)

## აპირებენ საპროტესტო აქციის მოწყობას

უახლოეს მომავალში საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრები აპირებენ საპროტესტო აქციის მოწყობას აფხაზეთის ტერიტორიიდან რფ-ის შეიარაღებული ძალების გაყვანის მოთხოვნით. ფრაქციის თავმჯდომარე გერმანე ფაცაცია და ფრაქციის წევრთა ერთი ნაწილი გაემგზავრა საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც კომპაქტურად ჩასახლებულნი არიან აფხაზეთიდან დევნილები. პარლამენტარები ეწვევიან ქალაქებს: ბორჯომს, ქუთაისს, ხობს, აბაშას და წყალტუბოს. გაიმართება შეხვედრები მოსახლეობასთან.

ფრაქციის წევრთა აზრით, სამშვიდობო პროცესი ჩიხში შევიდა. რფ-ის სამშვიდობო ძალები ვერ ასრულებენ მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. „აფხაზეთის“ წევრები გამოთქვამენ იმედს, რომ აქცია დევნილთა ერთსულოვან მხარდაჭერას მიიღებს. (იბერია)

# მეტრო „დელისის“ მიდამოებში ელექტროგენერატორების ქურდობამ პიკს მიაღწია

საქართველოში მოსახლეობამ ენერგეტიკული კრიზისის გადაჭრის არატრადიციულ ხერხებს მიაგნო. ასე გაჩნდა ჩვენს სახლებში სხვადასხვა სახის მანათობლები და გამათბობლები. ეს მოწყობილობები არცთუ ისე იაფია. ერთი საშუალო სიდიდის გენერატორი 800 დოლარი ღირს. მოსახლეობის მიერ მხოლოდ ელექტროგენერატორებში ინვესტირებული თანხებისათვის (არაფერს ვამბობ მოხმარებულ საწვავზე) ერთად რომ მოგვეყარა თავი, ერთი საშუალო სიდიდის ელექტროსადგურის აშენებასაც შევძლებდით.

გათბობა-განათების არატრადიციული ხერხების გაჩენამ თბილისში ასევე არატრადიციული ქურდობის ფორმებიც წარმოშვა. ფართო გაქანება ჰპოვა ისეთმა რენტაბელურმა ხელობამ, როგორიცაა ელექტროგენერატორების ქურდობა.

განსაკუთრებით შეაწუხეს ქურდებმა მოსახლეობა მეტრო „დელისის“ მიდამოებში, ვაჟაფშაველას პირველ კვარტალში. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ერთ პატარა უბანში ათზე მეტი ოჯახი გაიქურდა. ქურდების მოხერხებულობა ალპინისტებსაც კი შეშურდებათ. მათთვის სულერთია მეხუთე სართულია თუ პირველი. აივნებიდან ერთმანეთის მიყოლებით პანტა-პუნტით ქრებიან ორმოცდაათკილოგრამიანი მოწყობილობები. საქმეს არც გენერატორების ღამღამობით აივნებიდან ოთახებში ჩაკეტვამ უშველა. გათავხედებულმა და დაუსჯელობის იმედმიცემულმა ქურდებმა ბინებშიც იწყეს შეღწევა და გენერატორებს ქურქებიც ზედ მიაყოლეს...

მოკლედ, მოსახლეობა პანიკაშია. ყველას არ შესწევს რკინის გისოსების დაყენების უნარი, ბევრს არც ცხრაკლიტულში გამოკეტვა მოსწონს. ერთადერთ იმედად ისევ ვაკის რაიონის მილიცია რჩება. იქნებ ამ არატრადიციულ ქურდობას ასევე არატრადიციული მეთოდები დაუპირისპიროს, თორემ ტრადიციული ქმედებები (ანუ უმოქმედობა) შედეგს რომ არ იძლევა, ამ უბნის მოსახლეობა კარგად ხედავს.

დაველოდოთ მომავალს!
აღდგომა და ხვალეო!

გიორგი ტალახაძე

*P.S. მოსახლეობას კი სხვას ვერაფერს ვურჩევ, თუ არა ჩემი მეზობლის, ბატონ ჟორას ალმოჩენას: უნდა იყიდოთ რაც შეიძლება მსხვილი ჯაჭვი, გამოაბათ მისი ერთი ბოლო გენერატორს, მეორე ბოლო კი აივნის მოაჯირს და ჩაკეტოთ ასევე რაც შეიძლება მსხვილი ბოქლომით.*

*არსებობს სხვა მეთოდიც, რომელსაც გენერატორის რკინის გალიაში გამომწყვდევა ჰქვია, მაგრამ ეს გაცილებით ძვირი ჯდება. რაც შეეხება თავად უბნის რწმუნებულის რეცეპტს, რომელიც ითვალისწინებს გენერატორზე თოკის გამობმას და მის მიბმას ფეხზე, ამ რჩევამ სამწუხაროდ არ გაამართლა. როგორც ამბობენ, ღრმა ძილში წასულ ადამიანს კრიტიკული მომენტი, როგორც წესი, ეპარება და ხახამშრალი რჩება. მაგრამ იმედს მაინც ნუ გადაიწურავთ. როგორც ძველად იტყოდნენ, ჩვენ გვიცავს ჩვენი მილიცია.. უნდა ველოდოთ ახალ და ახალ რაციონალურ წინადადებებს.*

# მჟავანაძემ ვაზგენის თხოვნით არაერთი სომეხი რეპატრიანტი ჩაასახლა აფხაზეთში, ისინი სომხეთის ჰავას ვერ ეგუებიან, ზღვის კლიმატს არიან შეჩვეულნიო!..

## პასუხად რემ დავიდოვს

### კიტა ბუაჩიძე

პატივცემულო რემ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ პირველ გვერდზე წავიკითხე თქვენი რეპლიკისებური წერილი „ნიღაბი ციკლისთვის პირისპირ“, რომელიც ეხება ვალერი კვარაცხელიას ვრცელ წერილს „ლაგამამოდებულ სიტყვის ნოსტალგიას“.

ცოტა არ იყოს, გამაკვირვა თქვენი წერილის სათაურმა, ნიღაბიო... ვალერი კვარაცხელია თავის წერილში სწორედ რომ სრულიად უნიღბოდ წარმოგვიდგება და მკითხველს ესაუბრება ყოველგვარი მორიდების, ზურგს უკან მიმალული აზრების გარეშე.

რაც მთავარია, თქვენ აღშფოთებას გამოთქვამთ იმის გამო, რომ, თურმე, ამ „ნიღაბს“ ძალიან სწყენია, როცა ჭორიკანა ავისმოსურნეებმა იგი, წალენჯიხაში დაბადებული ქართველი კაცი, სომხად მონათლეს...

როგორ, ბატონო რემ, ერევნელ სომეხს, რომელიმე პეტროსიანს ან არუთინიანს რომ უთხრა, შენ სომეხი კი არა, ქართველი ხარო, იგი ამით ვითომ დიდად გაიხარებს და აქეთ არ შემოგვიკურთხებს? ანდა ნაღდ იაპონელს რომ აკადრო, ჩინელი ხარო ან პირიქით, განა ისინი ამას შეურაცხყოფად არ აღიქვამენ?!

და ეს სრულიად მარტივი ეროვნული თავმოყვარეობით აიხსნება: მხოლოდ გადაგვარებულს შეუძლია არ იამაყოს თავისი ერის შვილობით, სულ ერთია იგი ქართველი იქნება, სომეხი იქნება, ჩუქჩი თუ იაკუტი...

ჰოდა, აბა ერთი მითხარით, ვალერი კვარაცხელია, უდავოდ ნიჭიერი ქართველი ჟურნალისტი, რატომ უნდა იყოს გამონაკლისი? და, საერთოდ, რომელ ნიღაბზეა ლაპარაკი? გთხოვთ არ მიგულოთ ვალერი კვარაცხელიას თავგამოდებულ თანამოაზრედ, მე მას პირადად არც ვიცნობ, მაგრამ ის „პირისპირში“ ნიღაბს რომ არ ატარებდა, სწორედ ამიტომაც უარი ეთქვა „პირისპირს“.

თქვენი წერილის მეორე ნახევარი სომეხი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან ძმობას ეძღვნება. თქვენ წერთ: „ნუთუ ვალერი კვარაცხელიას დაავიწყდა, რომ ბიბლიურადაც კი ქართველები და სომხები ძმები იყვნენ, ძმურად იზიარებდნენ ერთად ჭირსა და ლხინს ასწლეულებისა და ათასწლეულების მანძილზე...“

მართალი გითხრათ, მე არ ვიცი რა იყო „ათასწლეულების მანძილზე“, ოღონდ ეს კი ვიცი, რომ ახლა, დღეს, როგორ ფიქრობთ, ეს ძმობა ცალმხრივი ხომ არ არის, ა? ქართველები რომ გეძმობით, ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ამჟამად საქართველოში ნახევარი მილიონი სომეხი მშვიდად და უზრუნველად ცხოვრობს, მაგრამ ეს ვითომ გვიფასდება?

ამის დასაეჭვებლად, ჩემი აზრით, აი, ეს სულ ბოლოდროინდელი ამბების მოყვანაც საკმარისი იქნება:

ჩვენს პირობებში შედარებით კარგად ინფორმირებულმა გაზეთმა „კავკასიონმა“ ამ ბოლო ხანს თავისი არა ერთი ნომერი მიუძღვნა საქართველოს პროკურატურის მიერ აფხაზეთში ქართველების გენოციდის მიკვლეულ ათასობით ფაქტს... ამ ზღვა საბრალდებო მასალიდან მხოლოდ რამდენიმეს გაგაცნობთ სანიმუშოდ:

„ინეზა კვარაცხელიას (გულრიფში, სოფ.ფშაფი) ჩვენებით სომეხი ეროვნების ფშაფში მცხოვრებ ბარბუქს შედგენილი ჰქონდა ქართველი მოსახლეობის სიები, დადიოდა აფხაზებთან ერთად ქართველთა ოჯახებში, უწვავდა სახლ-კარს, ანადგურებდა ოჯახებს, მის მიერ მოკლული იქნა ფშაფში მცხოვრები 60 წლის შურა ქობალია და მისი მეუღლე, რომელსაც *გამოჭრა ყელი.*

სომეხი ეროვნების კბილის *ექიმმა,* სახელად ანდრეიმ, *ყელი გამოჭრა ექიმ* აკაკი სიჭინავას და მის ძმას, რომელიც მუშაობდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ანდრეი ცხოვრობს სოფ.ფშაფში თბილისის გზატკეცილზე, სომხების დასახლებაში“.

ჩვენი „ძმების“, ღორებისათვის ყელის გამოჭრაზე დიდად დასპეციალებულ, სომხების „ვაჟკაცობის“ დამადასტურებელი ამის მსგავსი „ოპერაციები“ ასობით შეგვიძლია ამოვიწეროთ რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ტომებიდან, რაც, „სხვათა შორის“, ზედმიწევნით აღწევდნენ ერევანში სომეხი ერისკაცების ბუნებრივ სასმენ აპარატებამდე, მაგრამ... არც ერთ მათგანს, არც რომელიმე მღვდელმთავარს და არც პოეტ სილვა კაპუტიკიანს (ადრე ახალქალაქში სისტემატურად რომ ჩამოდიოდა და ამხნევებდა და მოუწოდებდა თავისიანებს, კიდევ უფრო მეტად გამრავლდითო) და არც ქართველოლოგ პარუირ მურადიანს და არც საგარეო საქმეთა მინისტრს ფაფაზიანს, ამას წინებზე „ნეზავისიმაია გაზეტა“-ში რომ დაგვემუქრა, ენით უთქმელი ეს მხეცური აქციები, არც წერილობით და არც საჯაროდ, არ დაუგმიათ და მცირეოდენი აღშფოთებაც არ გამოუთქვამთ; არც ერთი მათგანი არ ჩასულა ქართველების სასაკლაოდ გადაქცეულ აფხაზეთში (სადაც, დასტურ, თავის დროზე ვასილ მჟავანაძემ, ვაზგენის თხოვნით, არა ერთი სომეხი რეპატრიანტი ჩაასახლა, ისინი სომხეთის ჰავას ვერ ეგუებიან, ზღვის კლიმატს არიან შეჩვეულნიო) და თავისი გვარისანებისათვის ამგვარადაც არ მიუმართავთ:

– ხალხნო! ძმანო სომეხნო! რას შვრებით და რას სჩადიხართ? ნუ იჭრით თავს და ნურც ჩვენ გვჭრით თავს და მანდაურ ქართველებს ნუ უწყობთ ისეთ გენოციდს, როგორიც ჩვენ მოგვიწყვეს ამ საუკუნის დამდეგს, თურქებმა, როცა მილიონნახევარი ჩვენიანი ამოწყვიტეს, რაკი თვალი რუსეთისკენ ეჭირათ და... მოდით, ეხლა ეს მაინც ვიკმაროთ, ყარაბაღისთვის აზერბაიჯანს ომი რომ ავუტეხეთ, რითაც ისევ აზერბაიჯანელებმა ისარგებლეს და ორსაუკუნოვანი სანუკვარზე სანუკვარი ოცნება აიხდინეს, გამოყარეს რა თავიანთი ეზო-ყურედან ნახევარი მილიონი ჩვენი ტომისანი... ჰოდა, გვახსოვდეს, რომ სწორედ ამდენივე სომეხი ცხოვრობს ახლა საქართველოში წყნარად და ხელუხლებლად და... ნუ ვიქნებით უმადურები და თუ საქმით არა, სიტყვით მაინც დავაფასოთ, მით უმეტეს, დღევანდელ არაადამიანურ გარემოცვაში, ქართველების ეს ნამდვილი ადამიანობა... პირდაპირ სირცხვილია დავიწყება თუნდაც იმისა, რომ იმ საშინელი მიწისძვრისას პირველები სწორედ ქართველები მიეშველნენ სპიტაკს და... ჩვენ, სომხები, ასეთ კეთილ კარის მეზობლებს ყელს უნდა ვღადრავდეთ?..

ო, არავითარი ამის მსგავსი გამოძახილი ჰაიასტანიდან, არც მთავრობის დონეზე, არც ხალხის წარმომადგენელთა დონეზე, თითქოსდა მათი ძმები აფხაზეთში სააღდგომო კრავებივით უცოდველნი იყვნენ...

აფხაზეთში, ომის დროს, სომხების ორი ბატალიონი მოქმედებდა ქართველების ამოსახოცად... ჰკითხეთ რომელ ლტოლვილსაც გნებავთ, როგორ ეპყრობოდნენ მათ სომხები: უფრო ულმობლად, დაუნდობლად და სასტიკად, ვიდრე თვით აფხაზები და გადამთიელი ჩეჩნები...

ასე რომ, ბატონო რემ, ნუ აღშფოთდებით და ნუ გაამტყუნებთ ვალერი კვარაცხელიას, როგორც ქართველს, თუკი მან ამ შემთხვევაში სომხობაზე ხელი არ მოგიწერათ.

თებერვალი, 1997 წელი

---

## არ არსებობს თბილისის გენერალური გეგმა

ქ.თბილისის მერის ბადრი შოშიტაიშვილის განცხადებით, ქალაქის გენერალური გეგმა ფაქტიურად არ არსებობს. გასულ წლებში ვერ გამოინახა თანხები მის დასაფინანსებლად. მიმდინარე წელს კი ქალაქის მერიის თაოსნობით შეიქმნა არქიტექტურის დეპარტამენტი, რომელიც იმუშავებს ქალაქის გენერალური გეგმის შემუშავებაზე. თბილისის მერი იმედოვნებს, რომ 2000 წლისათვის უკვე მზად იქნება ქ.თბილისის განვითარების თანამედროვე გენგეგმა. (იბერია)

## დაგეგმილია «კოფას»-ს ვიზიტი

დაგეგმილია ფრანგული სადაზღვეო კომპანია „კოფას“-ის დელეგაციის ვიზიტი ამიერკავკასიაში, – მათ შორის საქართველოში მარტისა და აპრილის თვეებში. ვიზიტის დროს ადგილზე მოხდება ბანკების საქმიანობისა და ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა. „კოფას“-ი დაინტერესებულია საქართველოში ნავთობსადენის მშენებლობით და გამოთქვა მზადყოფნა დააზღვიოს ფრანგული კომპანიების კრედიტები. (იბერია)

## შიდსის საწინააღმდეგოდ

საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი და საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია მიმდინარე წლის მარტში ქ.თბილისში გაეროს ანტიშიდსის სააგენტოსთან და სკაუტინგის მსოფლიო ბიუროსთან ერთად ატარებენ საერთაშორისო ახალგაზრდულ კონფერენციას შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებთან დაკავშირებით. (იბერია)

## რესპუბლიკაში მძიმე ეპიდემიური მდგომარეობაა

სადეზინფექციო სამსახურის ინფორმაციის თანახმად, რესპუბლიკაში მძიმე ეპიდემიური მდგომარეობაა შექმნილი. გავრცელებულია სხვადასხვა საშიში დაავადებანი – ქოლერა,შავი ჭირი, უცნობი წარმოშობის გრიპი. საჭიროა საზოგადოების თავშეყრისა და სხვა განსაკუთრებულ ადგილებში სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარლამენტის შენობაზე გლოვის ნიშნად დაშვებულ იქნა ეროვნული დროშა

25 თებერვალს საქართველოს პარლამენტის შენობაზე გლოვის ნიშნად დაშვებულ იქნა ეროვნული დროშა. როგორც ცნობილია, პარლამენტის შენობის წინ იყო ეკლესია, რომლის ეზოშიც ამჟამად განისვენებენ 1921 წლის 25 თებერვალს თბილისის დაცვის დროს დაღუპული იუნკერები. ამდღესვე, მათი სულის მოსახსენიებლად აღავლინეს პარაკლისი, რომელსაც ესწრებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და სხვა პარლამენტარები. (იბერია)

## მოითხოვენ რფ-ის ჯარების გაყვანას

25 თებერვალს საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაერთიანების „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს. პრესკონფერენციას აღნიშნული გაერთიანების ვიცე-სპიკერი თენგიზ კიკაჩეიშვილი უძღვებოდა. მან ჟურნალისტებს გააცნო მიმართვა გაეროსადმი, ეუთოსადმი, მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებისადმი, საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის წარმომადგენლობებისადმი. მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ დღეს საქართველოში კვლავ იმყოფება რფ-ის საოკუპაციო ჯარი და ეს იმ დროს, როდესაც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა სერიოზულად ეკიდება ერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ყოფნას მეორე ქვეყანაში.

საქართველოს ტერიტორიიდან რფ-ის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ დღეისათვის შეგროვებულია 206283 ხელმოწერა. გამოკითხულთა 90-95% თანხმობა განაცხადა საქართველოს ტერიტორიიდან რფ-ის ჯარების გაყვანაზე. თუ მსოფლიოს ქვეყნები დაუჭერენ მხარს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანას, მაშინ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" შეაგროვებს ხელმოწერებს „პეტიციაზე". ამგვარი სახის მიმართვა გაეგზავნა ნატოს გენერალურ მდივანს ხავიერ სოლანას. (იბერია)

## აზერბაიჯანი ცდილობს ზეწოლა მოახდინოს რუსეთზე

რფ-ის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა წარმომადგენელმა „იტარ ტასისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ალიევის განცხადება (ედ.შევარდნაძის ბაქოში ვიზიტის დროს) იმის თაობაზე, რომ დიდი ნავთობსადენი აუცილებლად გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე, – წარმომადგენლის თქმით ბლეფია. ყოველივე ამით აზერბაიჯანი ცდილობს ზეწოლა მოახდინოს რუსეთზე, რათა მეტი მოგება ნახოს რუსეთის ტერიტორიაზე ნავთობსადენის გატარებით.

# ღმერთო ჩემო, რას მოვესწარი...

*უცნარი სიკვდილის ჩათვლით, ყველაფერს ველოდი, მაგრამ ვერაფრით ვერ წარმომედგინა, თუ ისეთ ცილისწამებებზე მომიწევდა პასუხი, რის წინააღმდეგაც მთელი ცხოვრება ვიბრძოდი!*

მკითხველს ბოდიშს ვუხდი იმისათვის, რომ ძვირფას წუთებს ვაკარგვინებ, მაგრამ ჩემი ბრალი არაა. მეც სრულიად უნებლიედ აღმოვჩნდი ამ უცნაურ სიტუაციაში.

ნიკო ორველაშვილის „ნაცოდვილარის" წაკითხვამ გამახარა-მეთქი რომ ვთქვა, არავინ დამიჯერებს. ცხადია, თავდაპირველად ამაღელვა კიდეც, მაგრამ როცა გამახსენდა ბრძნული ნათქვამი – „არის მომენტები, როცა წიხლი შეიძლება გეტკინოს, მაგრამ არ უნდა გეწყინოს" – დავმშვიდდი.

ოპონენტის მიერ ჩემს საგინებლად და სალანძღავად შერჩეულ მდიდარ „არსენალს" არ შევეხები, რამდენადაც იგი შესანიშნავად გვიჩვენებს მისი ავტორის პორტრეტს. თანაც, ვინც მიცნობს, კარგად უწყის ვინცა ვარ, ხოლო ვინც არ მიცნობს, იმასთან მერიდება საკუთარ თავზე საუბარი.

მკითხველო, თქვენი ნებართვით, პირდაპირ შევუდგები ნ.ორველაშვილის მიერ ობობას ქსელივით დახლართულ ცილისწამებათა კვანძების გახსნას. იგი წერს: „ჩვენმა პრინციპულობამ მიაქციეთ ყურადღება: თავისთავს „ჩვენობით" რომ წარმოგვიდგენს, ხოლო პროფესორს, რომელსაც გამოცდაზე მისთვის ხუთიანი დამიწერია, თითქმის ყველგან „შენობით" მიხსენიებს) სწორედ ლჩიქავას გააგდებინა ხელიდან პირთან მიტანილი ნაქურდალი მსუყე ლუკმა". ე.ი. დაადგინა, რომ ჩემი ნაშრომი წარმოადგენს ლიტერატურულ ნაქურდალს.

ეს წმინდა წყლის დემაგოგიაა.

ჩემს თავზე არ მიყვარს საუბარი, მაგრამ ამჯერად იძულებული ვარ დავარღვიო ტრადიცია და განვაცხადო, რომ 60-ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის ოპონირება გავწიე და ყოველთვის სიმკაცრით გამოვირჩეოდი, შინაარსობრივ მხარესთან ერთად, ყველას ვთხოვდი ლიტერატურით სარგებლობისა და დამოწმების წესების ზუსტად დაცვას და როგორ მოხდა, რომ ყოველივე ეს მე თვითონ, 131-ე ნაშრომის დაწერისას დავივიწყე და ნ.ორველაშვილის გამოსაჭერად გავიხადე თავი? შეიძლება მითხრან, რატომაც არა, გამორიცხული არაფერი არაა. ესეც მართალია, ამიტომ ჩემდამი წაყენებული „ბრალდება" (ღმერთო ჩემო, რას მოვესწარი) განვიხილოთ უფრო დაწვრილებით.

მკითხველო, არ გაგიკვირდეთ, მაგრამ არც მეტი, არც ნაკლები, *ნ.ორველაშვილი ნაქურდალად თვლის ჩემს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ, დაახლოებით 20 ფორმიან ნაშრომს, რომელიც ხელნაწერის სახით ჩემთან ინახება და რომლისთვის თვალიც კი არ შეუვლია მას (ან სად უნდა შეევლო). მეტიც, მან ისიც არ იცის, თუ რა საკითხს ეხება იგი და როგორაა დასათაურებული.*

ოპონენტი მიმართავს ასეთ არაეთიკურ ხერხს: იღებს ჩემს მიერ განათლების სამინისტროში წარდგენილ „გამოყენებითი ეკონომიკის" პროგრამას, მასში ჩამოთვლილი თემების დასახელებებს ადარებს „გამოყენებითი ეკონომიკის" ამერიკული წიგნის სათაურებს და ზოგიერთი მათგანის ურთიერთდამთხვევის საფუძველზე ასკვნის: *„ლეო ბატონო, შენ უზნეო და უმეცარი პლაგიატი ხარ! მტკიცება გინდა? აჰა, ინებე! შეადაროს მკითხველმა ეს ორი პროგრამა და თვად განსაჯოს, თუ რა „ორიგინალურ" სახელმძღვანელოს წერდა ლეო".*

ჯერ ერთი, ერთი და იმავე სასწავლო დისციპლინის თემების დასახელება თითქმის ყოველთვის ემთხვევა (ყოველ შემთხვევაში, უნდა ემთხვეოდეს) ერთმანეთს. ეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა. ამაში დარწმუნებისათვის საკმარისია რომელიმე საგანში გამოცემული სახელმძღვანელოების გადათვალიერება და თემების დასახელებათა ურთიერთშედარება.

ჩემს მიერ შედგენილი პროგრამის 16 თემიდან მხოლოდ 4 თემის დასახელება ემთხვევა „გამოყენებითი ეკონომიკის" ამერიკული წიგნის თავების ფორმულირებებს. მას ეს პლაგიატობად მიაჩნია. სინამდვილეში უფრო მეტი უნდა დამთხვეოდა, რომ არა ჩემი პირადი კრიტიკული დამოკიდებულება დასახელებული ნაშრომის სტრუქტურისადმი.

ამჟამად დადგენილი წესის მიხედვით, პროგრამა სტანდარტის კონდიციამდე აყვანისა და პედაგოგიკის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ყველასათვის სავალდებულოა და ამა თუ იმ საგანში ყველა ალტერნატიული სახელმძღვანელო ამ პროგრამით უნდა დაიწეროს. სხვანაირად კონკურსზე არ დაუშვებენ. ე.ი. საკითხი ეხება არა მარტო თემების სათაურების, არამედ თითოეულ თემაში განსახილველი საკითხების იდენტურობის დაცვას. ცხადია, დასმული საკითხების შინაარსობრივი განხილვა იქნება განსხვავებული. მაგრამ ეს რომ იცოდე, ცოტაოდენი გამოცდილება მაინც უნდა გქონდეს, რაც უცხოა ნ.ორველაშვილისათვის.

ნ.ორველაშვილის რჩევის თანახმად, „გამოყენებითი ეკონომიკის კურსში" თუ ერთი ავტორი (ან ავტორთა კოლექტივი) პირველ თემად შეიტანს ფორმულირებას – „რა არის ეკონომიკა?", მეორემ ალბათ, უნდა შეიტანოს „რა არის ეთიკა?" ან „რა არის რელიგია?", თორემ, თუ მანაც პირველ თემად დაასახელა „რა არის ეკონომიკა?" ნაქურდალად ჩაუთვლიან.

მეორე, ჩემს მიერ შედგენილი და ნ.ორველაშვილის მიერ მოხსენიებული პროგრამა გადმოწერილიც რომ იყოს, ამის მიხედვით ვარაუდითაც არ შეიძლება იმის გაფიქრება, რომ სახელმძღვანელოდ განკუთვნილი ჩემი ნაშრომი ასევე გადმოწერილია (ან, ალბათ, არაორიგინალური, მოპარული იქნება) იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „გამოყენებითი ეკონომიკის" სასწავლო კურსს ეხება, ხოლო ჩემს ნაშრომს „ეკონომიკური ცოდნის საფუძვლები" ჰქვია. სამინისტრომ თავდაპირველი ჩანაფიქრი შეცვალა და, „გამოყენებითი ეკონომიკის" ნაცვლად, შემიკვეთა განსხვავებული სასწავლო კურსი „ეკონომიკური ცოდნის საფუძვლებში". ასე რომ, ნიკო „ბატონო", თქვენ ზოგადი, მიახლოებითი წარმოდგენაც კი არა გაქვთ იმ ნაშრომზე, რომელსაც სხვადასხვა ბრუნვაში ატრიალებთ და მოპარულს უწოდებთ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნ.ორველაშვილმა თურმე „პირთან მიტანილი მსუქანი ლუკმა ხელიდან გამაგდებინა" ანუ ჩემი ნაშრომის სახელმძღვანელოდ გამოცემის საქმე ჩამიშალა. ეს ხომ აბსურდია. მე ხელთ მაქვს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება, სადაც შავით თეთრზე აღნიშნულია: „სათანადოდ რეცენზირებული პროფ.ლ.ჩიქავას ნაშრომი „ეკონომიკური ცოდნის საფუძვლები" (ხელნაწერის სახით – ლ.ჩ.) განიხილა და მოიწონა განათლების სამინისტროსთან არსებულმა „გამოყენებითი ეკონომიკის" სასწავლო-მეთოდურმა საბჭომ და მიზანშეწონილად ჩათვალა გამოყენებულ იქნეს იგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამამთავრებელ კლასებში როგორც ძირითადი სახელმძღვანელო". ხელს აწერს განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველოს უფროსის მოადგილე ბატონი ჰამლეტ ჩხენკელი. ეს გადაწყვეტილება არავის შეუცვლია, დღესაც ძალაშია, ხოლო ოპონენტის მიერ ამის საწინააღმდეგო მტკიცება სიცრუეა.

კომპრომეტირების მიზნით, ნ.ორველაშვილს ჩემს სხვა ნაშრომებშიც დაუწყია ქექვა და ჰგონია, რომ აღმოჩენა გააკეთა. მაგრამ, ამთავითვე უნდა ვაუწყო, რომ მისდა სამწუხაროდ, ეს სიხარულიც აჩქარების შედეგია. იგი წერს: *„ნამდვილი სახელმძღვანელოს (და არა იმგვარი საცოდაობის, ლეომ ავტორთა ჯგუფს ცხვირწინ რომ აალლიტა* (შეხედეთ „საქმით დაინტერესებული" ოპონენტის ლექსიკონს? – ლ.ჩ.) და თავისი სახელით რომ გამოაქვეყნა – ლაპარაკია 1992 წელს დაწერილ, უსაშველოდ მოძველებულ და მხოლოდ 1995 წელს დასტამბულ წიგნზე „საქართველოს ეკონომიკა", რომელშიაც ეკონომიკაზე ბევრი არაფერი წერია, და რომელსაც უსინდისოდ ასაღებს ლეო თავის სტუდენტებზე არამი შემოსავლის მიღების მიზნით) დაწერას ეკონომიკის ზედმიწევნით ცოდნის გარდა პედაგოგიკის სათანადო ცოდნაც სჭირდება, ხოლო როგორც ვხედავთ, ლეოს და მის ამფსონებს არც ერთი აქვთ და არც მეორე".

„მადლობის" მეტი რა მეთქმის ამ ყოვლად „ზრდილი" ახალგაზრდისადმი, მაგრამ მაინც ვნახოთ სინამდვილე რას გვეუბნება:

1. ოპონენტი დასახელებულ ნაშრომს მთლიანად თუ არ წაიკითხავდა, ცოტაოდენი რომ გარჯილიყო და ერთი ფურცელი მაინც გადმოეშალა, მისთვის ცნობილი გახდებოდა, რომ ნაშრომის ძირითადი ნაწილი (თავები: 3, 4, 6, 16, 18, 19, 22, 23, 24, 28, 30) დაწერილია ჩემს მიერ. ნაშრომის ცალკეული თავების ავტორები კი არიან: გ.ყუფუნია (1, 2, 7, 8, 9, 15), დ.ჩომახიძე (10, 11, 12, 13), პ.ბაქრაძე (5, 26, 27, 29), ე.გაფრინდაშვილი (17), მ.გედევანიძე (20), ც.კოდუა (21), კ.ხმალაძე (25).

მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული დამხმარე სახელმძღვანელო ძირითადად ჩემს მიერაა მომზადებული დასაბეჭდად, ცხადია, ყდაზე მარტო ჩემი გვარი არ უნდა ყოფილიყო მითითებული, რაც გამომცემლობის მიზეზით მოხდა და ეს კარგად იციან თანაავტორებმა (თავის დროზე გულისწყრომაც გამოვხატე ამის თაობაზე, მაგრამ ეს როგორ დავუმტკიცო ნ.ორველაშვილს. ისე თუ არ დაიზარებს და პროფ.არჩილ თეთრაულთან ამ წიგნის დედანს ნახავს, თავად დარწმუნდება აღნიშნულის სისწორეში).

2. წიგნი რომ სამი წელიწადი იდო გამომცემლობაში და დუხჭირი ცხოვრების გამო დაგვიანებით დაისტამბა, ამის გამო მაინც არ უნდა ვაგებდე პასუხს ჩემი „ზრდილობიანი" ოპონენტის წინაშე...

3. ოპონენტის „მტკიცებით", დასახელებულ ნაშრომში (ნაწ.1) თურმე „ეკონომიკაზე ბევრი არაფერი წერია". ავტორთა კოლექტივს, რა თქმა უნდა, ნაშრომის აბსოლუტური სრულყოფილობის პრეტენზია არა აქვს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ დისციპლინაში ჯერჯერობით უკეთესი სასწავლო წიგნი არ არსებობს და მასზე დიდი მოთხოვნილებაა. თანაც, წმინდა ეკონომიკური ხასიათის თემები მეტწილად მეორე ნაწილშია განხილული, რომელიც გამოცემას ელოდება. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ გავიზიარებთ ისეთი ოპონენტის შენიშვნებს, რომელსაც ჩვენი ნაშრომის ორი გვერდიც არა აქვს წაკითხული (რომ წაეკითხა, საავტორო უფლების მითვისების თაობაზე შეთხზულ „ბრალდებას" არ წარმომიდგენდა, ხოლო თუ წაიკითხა და მაინც წამომიყენა, მით უარესი საქმისათვის).

4. „საქართველოს ეკონომიკის" დამხმარე სახელმძღვანელოს რეალიზაციას ორგანიზაცია გაუკეთა გამომცემელმა, ავტორებს მხოლოდ საავტორო ეგზემპლიარები გვერგო, ასე რომ, მე სარეალიზაციო არაფერი მქონდა. დავუშვათ, ავტორებს გაგვეყიდა კიდეც ჩვენივე წიგნი, რატომ იქნებოდა ეს „არამი შემოსავალი", როგორც ნ.ორველაშვილი მიკიჟინებს, ჩემთვის გაუგებარია.

5. ოპონენტს არაკომპეტენტურად მიაჩნია ჩემი 46 წლიანი (და ჩემი კოლეგების ასევე საკმაოდ ხანგრძლივი) პედაგოგიური გამოცდილება. ეს მის სინდისზე იყოს. ყოველ შემთხვევაში, ვინც მიცნობს, კარგად უწყის, რომ არც ამ მხრივ ვსაჭიროებ „ორველაშვილებისაგან" კონსულტაციებს.

ღრმად პატივცემული ოპონენტი ნიშნის მოგებით მომმართავს იმის თაობაზეც, რომ ვერ ვფლობ უცხო ენას (ინგლისურს). ამასთან დაკავშირებით მას ვაუწყებ, რომ ჯერ კიდევ მაშინ (1972 წ.), როდესაც იგი მოკლე შარვალში ჭინჭის ბურთს დასდევდა ორღობეებში, მე გერმანულად ლექციების ციკლი მიმყავდა ბერლინის, შვერინისა და როსტოკის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, რომლის თაობაზე იმდროინდელ გერმანულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები ჩემს პირად არქივში ინახება.

ნიკო „ბატონო", თუ არ მოიშლით პრესის ფურცლებზე ამგვარ „განავარდებას" და კვლავაც გააგრძელებთ ჩვეულ თავხედობას, პასუხის გაცემა მოგიწევთ თქვენთვის დღემდე უჩვეულო ვითარებაში.

პროფესორი
ლეო ჩიქავა

***P.S.** მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა კაცისგან ასეთი უშვერი სიტყვებით ლანძღვა, თანაც პრესის ფურცლებიდან, იშვიათად წამიკითხავს, მე ვერ ავყვები მის „სტილს", ჯერ ერთი, ჩემი შინაგანი ბუნების გამო, და მეორეც: მისგან, როგორც ჩანს, ისიც კია მოსალოდნელი, თავის უპასუხისმგებლო საქციელზე პასუხისმგებლობაც მე დამაკისროს (აკი თავის დროზე მისთვის „ფრიადი" სწორედ მე დამიწერია) და ჰაჯი უსუპის მაგალითი შემახსენოს. რა თქმა უნდა, ჩემს წილ პასუხისმგებლობას მის აღზრდასთან დაკავშირებით მე ვგრძნობ, მაგრამ დიდებულმა აკაკიმ ისიც ხომ დიდებულად იწინასწარმეტყველა – მარტო აღზრდა რას უშველის, თუ ბუნებამაც არ უშველა?..*

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

## სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა. 1978 წლის 11 აპრილი. თავმჯდომარეობს ნ. დუმბაძე

მურმან ლებანიძე – სულ ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი ჩემი პოზიციის გამოსახატავად ამ საქმეთან დაკავშირებით. ნამდვილად ისტორიულ, ეპოქალურ, მე ვიტყოდი, სასიცოცხლო მნიშვნელობის დოკუმენტს ვიხილავთ. ჩვენს წინაშეა რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, სადაც სიტყვა არ სწერია შორს გაუაზრებლად და შემთხვევით; ვიხილავთ პროექტს რესპუბლიკის ძირითადი კანონისა, რომლის წიაღიდან ხვალ და ზეგ, ზეგ და მაზეგ მილიარდი გრძელი ძაფი გამოიწვლილება ახალ-ახალი კონკრეტული კანონებისაკენ, რომელთა მნიშვნელობისა და შედეგების წინასწარ განჭვრეტა ახლა ყოვლად შეუძლებელია.

მაგრამ ჩვენი ძირითადი კანონის პროექტში არის ფორმულირებანი და დებულებანი, რომელთაც (გულწრფელი არ ვიქნებით, თუ არ ვიტყვით!) ამთავითვე ეჭვითა და სიფრთხილით მიუდგა მოაზროვნე საქართველო. აზრთა თავისუფალი გააზრებისა და გულწრფელობის უკანასკნელ წლებში ქვეყნის მასშტაბით სტიმულირებული ატმოსფერო მამხნევებს და მინდა ვილაპარაკო, როგორც საკუთარ თავს ელაპარაკებიან.

საქმე, ძნელი მისახვედრი არ არის, ეხება კონსტიტუციის პროექტში ეროვნული ენის პუნქტს, ქართული ენის პრიორიტეტის გაუქმებას, რაც არათუ კომპენსირებული არ არის 75-ე მუხლით, არამედ უმწეო, უხერხულ მდგომარეობაში, მე ვიტყოდი კაბალურ მდგომარეობაში აყენებს არა გასავითარებელ, არამედ ღვთის წყალობით გავითარებულ, მრავალათასწლოვან, საკუთარი დამწერლობის მქონე ქართულ ენას. ისიც სად? საკუთარ სამშობლოში. როდესაც ამ საკითხებზე ვფიქრობდი მე, ძალიან გული დამწყდა იმის გამო, რომ ჩვენ გვიან ვიღვიძებთ ქართველობა და ჩვენი საზოგადოებრიობა და როგორც ჩანს კარგად, გულდასმით ვერ შევისწავლეთ ჩვენ საკავშირო კონსტიტუცია. მე ვფიქრობ, ჩვენ რომ კარგად შეგვესწავლა ეს კონსტიტუცია, შევამჩნევდით, რომ სახელმწიფო ენაზე არავითარი ლაპარაკი არ არის იქ და შემდგომ რესპუბლიკების კონსტიტუციები აიგებოდა, შესაბამისობაში იქნებოდა მოყვანილი საკავშიროსთან და პუნქტი, სადაც ეროვნულ ენად გვეწერა ქართული ენა, ეს არ გვექნებოდა.

შეიძლებოდა დაყენებულიყო საკითხი სახელმწიფო ენად არა რუსული ენის გამოცხადებისა საკავშირო მასშტაბით, არამედ ფორმულირება რუსული ენის პრიორიტეტისა საკავშირო მასშტაბით იმგვარად, რომ საშუალება მისცემოდა რესპუბლიკის ენებს თავიანთი ცხოვრება და თავიანთი არსებობა აეგოთ თავიანთი ენების პრიორიტეტით თავიანთ რესპუბლიკებში. სახელდობრ შევეცდილიყავით ჩაწერილიყო, რომ რუსული ენა, როგორც ნამდვილად პრივილეგირებული მთელ საბჭოთა კავშირში და მსოფლიოში ხელმისაწვდომი ენა, ყოფილიყო ერთაშორის ურთიერთობის ენა და ყოველ რესპუბლიკაში უმაღლეს ინსტანციებისათვის ურთიერთობის ენა ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ნამდვილად გვექნებოდა საშუალება რესპუბლიკის ეროვნულ ენებად დარჩენილიყო თავთავიანთი ენები – საქართველოსათვის ქართული და სომხებისათვის – სომხური და მიემატებოდა ეს უპირატესობა, რომლებიც ქართველ და სომეხ ხალხებს და შემდეგ აზერბაიჯანელებს ჰქონდათ, სხვა რესპუბლიკებსაც, ამით დიდ რუს ხალხს არაფერი დააკლდებოდა, არამედ დააკლდებოდა მის პრიორიტეტს.

ახლა, რასაკვირველია, პოზიცია სუსტი გვაქვს და ჩემი ლაპარაკი, ალბათ, წყლის ნაყვაა.

კიდევ გვქონდა ჩვენ მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის განხილვის დროს ყური არ გაგვიმახვილებია და თავი არ გაგვინძრევია. ეს ის დოკუმენტია, სადაც სწერია „ყოველმხრივი და განუხრელი დაახლოება". რა არის იცით? ეს ისეთი რამ არის, რომლის გაგრძელება ჩვენი ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის მოსპობაა. ეს აქედან გამომდინარეობდა. ახლა ეს უდიდესი კანონია და იქიდან გამომდინარე, ეს კანონია და ძნელდება.

მე ერთი უფრო პატარა შემთხვევა გულისტკივილით მინდა გიამბოთ.

მე პოლიგრაფია მიყვარს, სტამბა ვიცი. ჩვენ არ გვაქვს მატრიცების ჩამოსასხმელი საქართველოში. ეს გახლავთ ყალიბი შრიფტისათვის, ის მზადდება შენადნობისაგან, თითბერისა და სპილენძის შენადნობისაგან, ასე რომ, სერიოზული დამუშავება სჭირდება და ამის შედეგად გაიგზავნება ლენინგრადში. ჩვენი სომხური და ქართული შრიფტების ჩამოსხმა იქ ჭიანურდება წლიდან წლამდე და როგორც ღარიბი ნათესავები, ისე ვართ ლენინგრადში.

ერთ მშვენიერ დღეს ამ დაწესებულების ხელმძღვანელებმა გამოუცხადეს ჩვენი „კომუნისტის" თანამშრომლებს – დაანებეთ თავი ამ თქვენს დაჯღარკნილ შრიფტებს. აიღეთ ეს რუსული შრიფტი, ჩვენ ის განვითარებული გვაქვს და გამოიყენეთო. (ხმა – ჩვენც გადავიდეთ და მორჩება!). აი მაგ წინადადებით მინდოდა შემოვსულიყავი (დარბაზში სიცილი).

დასასრულ, ამას გული ლაპარაკობს, მაგრამ ჭკუა ლაპარაკობს იმას, რაც ჩვენ გუშინ ბატონ გრიგოლს ვთხოვეთ და განცხადებული იყო პარტიის ცეკაში. ის ფორმულირება, რომლის იმედი არ შეიძლება ვიქონიოთ ბოლომდე, ყველაზე უფრო ოპტიმალურია და გამოსავალია მდგომარეობიდან.

გული მეუბნება იმის მხარეზე ვიყო, საცა სწერია „სახელმწიფო ენა ქართული", ჭკუა იმას, რაც მოვახსენეთ გუშინ და ჩაქნეული ხელი-ამოგდებას.

თავისთავად მაინც იგულისხმება – ჩემს სიტყვას ჩემს სახლში მეტი უფლება აქვს (ტაში).

თავმჯდომარე – სიტყვა ეძლევა ჯ.თითმერიას.

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17

# სხარტულები

### გიგლა ბახბაძე

პარლამენტის დეპუტატს იმუნიტეტს კი არ უნდა ვაძლევდეთ, არამედ იმუნიტეტიან კაცს უნდა ვირჩევდეთ დეპუტატად.

* * *

ჩვენი უბედურებაც ისაა, რომ ოცდაათი ვერცხლი ზოგისთვის დღესაც კონვერტირებადი ვალუტაა.

* * *

თუ ბოროტების არსებობაზე თვალებს ვხუჭავთ, რომ გავახელთ, ბოროტების ნაყოფს დავინახავთ.

* * *

ღვინის სმაში ნურავის შეეჯიბრები, თორემ გამარჯვება შეიძლება მიქელ-გაბრიელმა მოგილოცოს.

* * *

ჩათრევას ჩაყოლა ჯობია, მაგრამ ისე არ უნდა ჩაყვე, რომ ამოსათრევი გახდე.

* * *

კუ ყველაზე ბედნიერია, ბინა საძებარი არა აქვს, შვილებს დაბინავებულს აჩენს და ზურგიც მაგარი აქვს.

* * *

ადამიანი იბადება დებიტორად, კრედიტორი სამშობლოა. ცხოვრების მიზანი ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი წასვლაა.

* * *

ცხოველს მხოლოდ ერთხელ აძრობენ ტყავს, ადამიანს კი – რამდენჯერაც საჭიროა.

* * *

ფუტკარი კბენის შემდეგ კვდება... რა ბედნიერება იქნებოდა, ადამიანებშიც ასე რომ იყოს.

* * *

ბოლშევიკები და მენშევიკები ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორც სოდომი და გომორი.

* * *

ღმერთთან მიახლოება თუ გინდა, ამაღლდი!

* * *

ხელისუფლების გუნდში მყოფთა ძირითადი მოვალეობაა, იმღერონ ერთხმად, გუნდურად... იკითხოს იმან, ვინც სხვა ხმაზე დაიწყებს მღერას.

* * *

ქერივი ისე ჩქარა არ უნდა გათხოვდეს, რომ პირველი ქმარი მეორე ქმრის გამოსაგლოვი გახდეს.

* * *

ჯვარი არის რწმენა, მოვალეობა, ტვირთი... და არა კისრის სამკაული, როგორც ეს ზოგს ჰგონია.

* * *

სიკვდილი წერტილია, სიცოცხლე – მძიმე.

* * *

საიდუმლოს სამუდამოდ დამარხვა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც დამარხულია.

* * *

სიყვარულმა თუ ფრთები შეგასხა, ნუ გიხარია, რა იცი, სად გაფრინდები?

* * *

სადღეგრძელო არის არაფხიზელ მდგომარეობაში მიცემული დადებითი დახასიათება.

* * *

ჩვენდა საუბედუროდ, დიოგენის ფარანს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

* * *

თუ ყველა დარბის, დრო არ დაკარგო და სირბილში ჩაერთე, რატომ დარბიან, იმის გაგებას მერეც მოასწრებ...

* * *

ზოგჯერ ნეკროლოგი ისე შესანიშნავადაა დაწერილი, სიცოცხლეში თვითონ რომ წაეკითხა, შეიძლება არც მომკვდარიყო.

* * *

ზოგს ქონების მოპოვება არ აძინებს, ზოგს კი – მოპოვებული ქონება.

* * *

დუმილს უფრო კარგი მოსმენა უნდა, ვიდრე ლაპარაკს.

* * *

ადამიანს კუდი არ აქვს, მაგრამ კუდის მოქნევაც შეუძლია და ქიცინიც.

* * *

პარლამენტი ძალიან ჰგავს სამშობიარო სახლს: გაწამაწიითა და წივილ-კივილით იბადება... კანონები.

* * *

ცხოვრება ზოგისთვის კიბეა, ნელ-ნელა მიიწევს ზევით, ზოგისთვის კი – ლიფტი: ან უცბად ავარდება, ან მაგრად გაიჭედება.

* * *

თუ ექიმმა ავადმყოფზე თქვა: მისი დღეები დათვლილიაო... არ დაიჯერო, რადგან ექიმთა უმრავლესობა არითმეტიკაში მოისუსტებს.

* * *

ყველა მთავრობას რატომღაც ჰგონია, რომ ხალხის ზრუნვაში ამოსდის სული... ხალხის აზრით კი მთავრობას სული ისე არ ამოსდის, როგორც საჭიროა.

* * *

წესიერები წესებს იცავენ, თავხედები კი წესების დარღვევით თავში გადიან და საბოლოო ჯამში თავგასულები ხდებიან...

* * *

რამდენადაც გინდა, იმდენად გაზომე, მაგრამ იმდენ ხანს არ უნდა ზომო, გაჭრა დაგავიწყდეს.

* * *

ვაი იმ ხალხს, რომელიც მთლიანად მთავრობის იმედზეა... ვუი იმ მთავრობას, რომელსაც ხალხის იმედით მშვიდად და უდარდელად ძინავს.

* * *

ერთი არც ისე ხელწამოსაკრავი რიცხვია, როგორც ზოგს ჰგონია... ერთია ღმერთი, ერთია დედა, ერთია სამშობლო... ერთიდან წარმოდგება ხალხის ერთიანობა...

* * *

წყალნი კი წავლენ... მაგრამ ხომ შეიძლება წყალმა შენც წაგიღოს, ან დარჩენილ ქვიშაში ჩაგფლოს.

* * *

რძალი რომ საფლავში ჩაგწვენს, ის საფლავი შვილის გათხრილია.

* * *

რომ დაგიღია პირი და მღერი: თუ გამაჩინე კიდეც მარჩინეო... ბარემ ისიც მიამღერე, რომდემდე გარჩინონ?

* * *

როგორც ჩანს, მეორედ მოსვლას არავინ დაელოდება და ქვეყნიერების დაქცევა ადგილობრივი ძალებით მოხდება.

* * *

საბჭოთა ეპოქაში ლენინის მოძღვრება პროკრუსტეს სარეცელივით ნორმად იყო მიჩნეული... ამ ნორმიდან ყოველნაირი გადახრა სუკის სარდაფებში სწორდებოდა.

* * *

ჩემი ნება რომ იყოს, პრივილეგიების ზოგ მოყვარულს ნებას მივცემდი, ქუჩა გადაკვეთოს წითელ შუქზე.

* * *

მსოფლიოში ბევრი აფრიალებს დემოკრატიის დროშას, მაგრამ როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ამ დროშიდან ხალხს ხშირად ტარი რჩება.

* * *

პიროვნების გაღმერთების მცდელობა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის უღმერთოდ გაწირვა.

* * *

თავის გამოსაჩენად ყველა გარბის: თავიანიც და უთავოც.

* * *

ნუ ეცდები თავზე დაისვა უფროსი. ის ამას შენს დაუხმარებლად გააკეთებს.

* * *

მანამ ნუ იმღერებ წუთისოფლის სტუმრები ვართო, სანამ არ გაერკვევი მასპინძელი ვინაა.

* * *

სიტყვას ქარს ნუ გაატან! რა იცი, ვის მიუტანს და როგორ.

* * *

მეცნიერებაში არის ბუნების გასაღები... მეცნიერების ყველა დარგის გასაღები კი მათემატიკაშია.

* * *

სანამ შიშველს ჩააცმევდე, დაფიქრდი, იქნებ მას შიშვლად ყოფნა ურჩევნია.

* * *

სიკვდილი ხანგრძლივი ძილია... კარგი ნათქვამია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, გაღვიძების დროც იყოს მითითებული.

* * *

ბალერინა თევზივით უხმოდ დაცურავს... ჰაერში.

* * *

სად იყვნენ ანგელოზები მაშინ, როცა უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებოდნენ.

* * *

სიბრძნე ყველას ეყოფოდა, თუ თანაბრად იქნებოდა განაწილებული.

* * *

ჩვეულებრივი ადამიანი საზოგადოებისთვის თითქმის შეუმჩნეველია, მაგრამ თუ გადაიხარა, პიზის კოშკივით ხალხის ყურადღების ცენტრში მოექცევა.

* * *

ვინც თქვა, რომ ინტელიგენცია ხალხის ტვინიაო, მართალია, მაგრამ უჭკუოა ის, ვინც ფიქრობს, რომ დანარჩენი ხალხი უტვინოა.

* * *

სოკრატესაგან განსხვავებით, ბევრმა არ იცის, რომ არაფერი არ იცის.

* * *

ყველა ჩვენგანი ფოსტალიონიცაა, რადგან ერთხელ წერილის წაღებას არავინ აცდება.

* * *

იქსი რომ გიჟი არაა, ამის ცნობას ადვილად იშოვის, მაგრამ ის საიდან აიღებს ცნობას, ვინც იქსს ცნობა მისცა?

* * *

შორეულ ნათესავს ძალიან ნუ დაუახლოვდები. დაე, უკონფლიქტო დამოკიდებულება ბოლომდე დარჩეს.

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## იყიდება

იყიდება სოფ.უჯარმასთან (ტბასთან ახლოს) აგარაკი 2 სართულიანი კაპიტალური სახლი 10X8-ზე, გარშემო დახურული აივნით, აევჯით და სამშენებლო მასალით. 1000 კვმ ყველანაირი მსხმოიარე ხეხილით, დიდი ტალავერით, 7 ტონიანი ავზით. წყალი და შუქი – მუდმივად. საწყისი ფასი 8000 ლარი ტელ. 30-12-41; 30-23-18 მზია

იყიდება 4 ოთახიანი იზოლირებული ბინა II სართულზე სანტუმრო „მეტეხის მიდამოებში. მეტრო „300 არაგველთან". ტელეფონით ბინა მაღალჭერიანია. აქვს ძველი რემონტი. ფასი 16000$ ტელ. 99-80-71 იკითხეთ ნოდარი ან ლია

იყიდება 2 ოთახიანი ან იცვლება 1 ოთახიანზე ვაკის რაიონში არასტანდარტული ბინა, საერთო ფართით 70 კვმ საცხოვრებელი ფართი 41 კვმ, ჭერი 3.10, რკინის კარებით, მანქანის სადგომით, ტელეფონით და საკაბელო ტელევიზიის ხაზით. მის. საირმის ქ. №11 II სად. I სართული, ბინა 24, მაღალი ბელეტაჟით. ფასი 24000$ ტელ. 38-22-20; 37-75-93

იყიდება 4 ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა, გარემონტებული პეტოფარეხით, სარდაფით, ტელეფონით 9 სართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ფასი 25000$ ტელ. 71-59-68

იყიდება აგარაკი სოფელ დიღმიდან 5 კმ-ზე ხეხილით, ორსართულიანი მანსარდით, 1200 კვმ ფართობით, დენი და წყალი მუდმივია. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-39-45 თეა

იყიდება 3 ოთახიანი გარემონტებული ბინა ბახტრიონის ქ-ზე ტელეფონით და კაპიტალური გარაჟით. 16 სართულიანი სახლის მე-15 სართულზე, მუდმივი დენი და ლიფტით ფასი 25000 დოლარი ტელ. 38-43-42 ნუნუ

იყიდება კერძო სახლი რამოდენიმე ოთახით ეზოში. ხეხილის ბაღით – სულ 700 კვმ. შეიძლება გაიყიდოს ნახევარიც. დენი და წყალი მუდმივია. ფასი შეთანხმებით. ტელ. 74-45-87

იყიდება დიდი ფართის ბინა 220 კვმ პრესტიჟულ ადგილას, საბურთალოს ბაზართან. რემონტით, სარდაფით, მანქანის სადგომით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-77-50

იყიდება მეტრო „ვარკეთილთან" წულუკიძის ქ.№23ბ. ბინა 94, მეხუთე სადარბაზო, მე-7 სართულზე. 3 ოთახიანი ბინა ფასი 7000 დოლარი მიქაუტაძე ბეჟანი.

## ქირავდება

ვაქირავებ ბინას ორ გოგონაზე, 50 ლარად. ტელ. 34-35-80 ნელიკო

ქირავდება 3 ოთახიანი ბინა დიდი ლოჯიით, გარემონტებული, აევჯით. ფასი 200 დოლარი. მის. ვაჟა-ფშაველას II კვ 31 კორპუსი. ბინა 27. ტელ. 31-85-05

ვაქირავებ 3 ოთახიან ბინას (ცარიელია) ტელეფონით, ც.დადიანის ქ.მეტრო „ნაძალადევთან". ჩეხური ტიპის 9 სართულიანი სახლის 7 სართულზე. ფასი 150 დოლარი. ტელ. 66-86-00

ქირავდება 1 ოთახიანი იზოლირებული ბინა მეტრო „ნაძალადევთან" IV სართულზე. ტელეფონით, აევჯით. ფასი 100 $. ტელ. 38-13-89

სააქციო საზოგადოება ინფორმატიკა აქირავებს ფართობებს ოფისებისათვის ქალაქის ცენტრში. მისამართი: ჭოველიძის ქ. №10 (ყოფ.ბელინსკის) ტელ. 92-05-41

## სხვადასხვა

ვყიდი „იამაჰას" (საკრავი. ახალია) ფასი 200 დოლარი. ტელ. 66-92-65 მალხაზი

ვუსწორებ მეტყველებას ენაჩლუნგ, ენაბლუ ბავშვებს და მოზარდებს ბინაზე მისვლით. ტელ. 51-25-98

იყიდება მოქმედი სტომატოლოგიური კაბინეტი ვაკეში, ბარნოვის ქუჩაზე, ტელ. 99-60-28 ან 39-39-67

მოვუვლი ბავშვს 2-6 წლისას, ჩემს ბინაში, მზრუნველობას არ მოვაკლებ. ოჯახში ჰიგიენა დაცული მაქვს. ტელ. 35-07-59 (მზევინარი)

ვყიდი სარეცხ მანქანას „ოკა" და გაზქურას, ოდნავ ნახმარ მდგომარეობაში, შეღავათიან ფასებში. ტელ. 29-35-02

მსურს მოვემსახურო ოჯახს სადილებისა და ნამცხვრების დამზადებით, უმაღლესი კლასით და გემოვნებით, მაგიდის ორიგინალური გაწყობით, დალაგებით და ალაგებით, შეიძლება ბაზარში წასვლითაც. ყოველივე ეს დღეგამოშვებით. ტელ. 34-83-10 ნინო

## ავტომანქანა

იყიდება ან იცვლება მსუბუქ ავტომანქანაზე „მაზის" მარკის ავტობუსი, 1990 წლის გამოშვება. ტელ. 36-40-58


საქართველო

ვაქვეყნებთ

უფასო

განცხადებებს

დაგვირეკეთ

ყოველდღე:

93-18-41

საქართველო




## ნათია ძათამაძის ხსოვნას

შენი დაბადების დღეა, ნათია! 17 წლის შესრულდებოდი სუფთა, უმანკო და უსაზღვროდ კეთილო, ჩვენო პატარა ანგელოსო!

სიცოცხლე გიყვარდა, სადაც კი წახვიდოდი, ყველგან სიხარული და სიმხიარულე მიგქონდა. ნათელი სული გქონდა და მზესავით გამოსცემდი სითბოს.

ჩვენო პატარა გოგონა, ისლა დაგვრჩენია, რომ მოგილოცოთ დაბადების დღე და ის სინათლე და სითბო, რომელსაც შენ გამოსცემდი, ყოველთვის იყოს შენი სულის წინამძღვარი იმქვეყნად.

ნათელში გამყოფოს უფალმა!


ექსპრეს აუდიტ სერვისი

EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89




## ანონსი

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი

27 თებერვალი

ა.ლინდგრენი

„ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი".

დასაწყისი 15 სთ-ზე

28 თებერვალი

ნ.დუმბაძე

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი".

დასაწყისი 15 სთ-ზე

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და თეატრის სახელმწიფო თეატრი

27 თებერვალი

პ.ჩაიკოვსკი

„პიკის ქალი".

დასაწყისი 17 სთ-ზე

პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

28 თებერვალი

ვაჟა-ფშაველა

„სტუმარ-მასპინძელი"

დასაწყისი 18 სთ-ზე

## რა, როდის და რომელ არხზე

### 27 თებერვალი ხუთშაბათი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე". მერიდიანი. აჭარა. 50/50. 20.00 „მოამბე". „ვიდეოპატრული 02". „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი". ლატარია მეათე. პროგრამა „დღე"; 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა" (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი" (რუსულ ენაზე). ილია ჭავჭავაძე. მრავალსახეობა 23.50 „ქვიშის საათი".

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა, ელიტარული ქრონიკა. „ინტერვიუ". 22.00 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.30 რუსული მხატვრული ფილმი „მოუხელთებელთა ახალი თავგადასავლები". პროგრამის დასასრულს – მუსიკა.

**კავკასია** 12.00 დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 12.15 მულტფილმები; 12.30 რეკლამა და მუსიკა. დოკფილმი „ველური ბუნება". 14.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „მკვლელის ბაღე". 16.30 საინფორმაციო პროგრამა. რეკლამა და მუსიკა. ჩვენი სტუმარი TBC სტუდია.

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.50 ნოვოსტი. 11.15 „გოგონა, სახელად ბედი". 12.00 ელდარ რიაზანოვის პარიზული საიდუმლოებანი. 12.40 მოგზაურთა კლუბი. 13.25 მულტფილმი; 14.15, 23.40, 2.20 გადაცემათა პროგრამა. 14.20 მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტის სახეობებში. ქალები. ტრანსლაცია ნორვეგიიდან; 15.40 მულტფილმები. 16.20 დაკარგულის ძიებაში. 17.20 მულტსერიალი. 17.45 გულიდან გულამდე. 18.10 ტინ-ტონიკი. 18.40 „ნიკო და მისი მეგობრები". 19.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა. 19.35 სამყაროს გარშემო. 20.15 „გოგონა, სახელად ბედი". 21.05 ამინდი. 21.10 პიკის საათი. 21.35 ჯენტლმენ-შოუ. 22.00 ჩემი ოჯახი. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 მხატვრული ფილმი „ნელლ". 2.00 პრეს-ექსპრესი; 2.45 ტელესერიალი „კრეკერის მეთოდი".

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15, 11.20, 12.55,13.15, 4.10 პროდუქცია – ფოსტით. 10.25 ტელესერიალი „ხენდრო". 10.55 ძვირფასო რედაქციავ. 11.30 საკუთარი თავის რეჟისორი. 12.05 „სანტა-ბარბარა". 13.25 საქმიანი რუსეთი. 14.05 ფოლკლორის ფესტივალი. 14.20 ორმაგი პორტრეტი. 14.50 თქვენი პარტნიორი. 14.55 ავტოგრაფი. 15.00 ზ. პოკროვსკი. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.25 მხატვრული ფილმი „უსახელო ვარსკვლავი", 1 სერია. 17.30 ერთი სიყვარულის ისტორია. 18.10 მულტფილმი. 18.25 ექსპოვესტნიკი. 18.30 საუკუნის ზღურბლზე. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ-ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 20.40. ტელესერიალი „ხენდრო". 21.10 ჭეშმარიტების მომენტი. 21.40 გამორჩეულად მნიშვნელოვანი პერსონები. 22.35 საკუთარი თავის რეჟისორი. 23.10 „სანტა-ბარბარა". 00.05 ხვალის ამინდი. 00.10 საღამო მშვიდობისა. 1.30 ეჰ, გზებო! 2.10 მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტის სახეობებში. ტრანსლაცია ნორვეგიიდან. 3.10 ბლოკ-ნოტი. 4.00 მხოლოდ უფროსებისთვის.

**НТВ** 8.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 21.00, 00.00, 2.00 სევოდნია. 8.10, 9.35 ჩვენი მატიანე. 8.25 10.45 კრიმინალი. 8.40 კარდანის ლილვი; 8.45, 11.50 გრადუსნიკი. 8.55 ზღვარს მიღმა. 9.20 რეტრო-ნოვოსტი. 9.40, 11.45 მე პირადი მცველი ვარ. 9.50 გაზეთების მიმოხილვა. 10.10, 11.25 ხარის საათი. 10.20 გამოსადეგი. 10.35 ფინანსები და ბიზნესი. 10.50 ცინცხალი გონებით. 11.35 შოუ-ბიზნესის ახალი ამბები. 11.50 კინოსიახლენი. 12.15 დილა. 12.30 ტელესერიალი „ქალბატონი ექიმი ქუინი". 13.30. საბავშვო პროგრამა. 14.20 ახალი წიგნები. 14.35, 18.20 ფული. 14.50 კომპიუტერი. 15.00 ღია სამყარო. 15.20 ტელეგაზეთი. 15.25 ინგლისური ენის გაკვეთილი. 15.40 ჩვენი ბაღი. 16.20 დიდი ვრემეჩკო. 17.05 ტელესერიალი „გალიფაქსი". 18.35 სპორტული პროგრამა. 19.35 ტელესერიალი „ცისფერი ხე". 20.30 საბავშვო პროგრამა. 21.35 დღის გმირი. 22.05 მხატვრული ფილმი „დრაკულას ქვრივი". 23.40 რუსული ალბომი; 00.40 ვრემეჩკო. 11.00 ტელესერიალი „სასწრაფო დახმარება". 2.20 ღამის ვრემეჩკო. 3.00. მხატვრული ფილმი „გვიხსენ და დაგვიფარე".

### 28 თებერვალი პარასკევი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე". გვაქვს უთვალავი ფერითა. 50/50. 20.00 „მოამბე". „ვიდეოპატრული 02". „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი". ასპარეზი. პრეს-სტუდია. 22.00 „ვესტნიკი" (რუსულ ენაზე). 22.20 ლატარია ყველასათვის. ტელე-სინე-ვიდეო. 23.50 „ქვიშის საათი".

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა. 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.00 ამერიკული მხატვრული ფილმი „ლას-ვეგასის დატოვებისას" (მთ.როლებში: ნიკოლას კეიჯი და ელიზაბეტ შუ). პროგრამის დასასრულს – მუსიკა.

**კავკასია** 11.00 დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 11.15 მულტფილმები; 11.30 რეკლამა და მუსიკა. დოკფილმი „ველური ბუნება". 13.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „ჯავრის უფლება". რეკლამა და მუსიკა.

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა. 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.50 ნოვოსტი. 11.15 „გოგონა, სახელად ბედი". 12.00 ჩემი ოჯახი. 12.40 სანამ ყველა შინაა. 13.15 მულტფილმი. 13.25 დაუკარ, გარმონო! 14.15, 19.20,23,40, 4.10 გადაცემათა პროგრამა. 14.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". 15.35 მხიარულთა და საზრიანთა კლუბი ასორტი. 16.00 იური ლოტმანი კულტურის მცველი. 17.20 მულტსერიალი. 17.45 მხატვრული ფილმი „შაჰერაზადეს ახალი ზღაპრები", 1 სერია. 18.50 როკ-გაკვეთილი. 19.25 მაგია ზებუნებრივი სამყარო. 20.20 „გოგონა, სახელად ბედი". 21.10 ამინდი; 21.15 ადამიანი და კანონი. 21.45 პოლე ჩუდეს. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 მხატვრული ფილმი „ორმაგი დარტყმა". 1.05 ვზგლიადი. 2.00 მხატვრული ფილმი „იდოლთა შემოქმედი". 4.05 პრეს-ექსპრესი.

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 სამედიცინო ცნობარი. 10.25 ტელესერიალი „ხენდრო". 10.55 ძვირფასო რედაქციავ! 11.20, 12.55 პროდუქცია – ფოსტით. 11.30 დ-კლუბი. 12.00 21-ე კაბინეტი. 12.25 ჭეშმარიტების მომენტი. 13.15 ლე მონტი. 13.30 საქმიანი რუსეთი. 14.10 პალიხა, 14. 14.15 ავტოგრაფი; 14.20, 16.20 მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტის სახეობებში. ვაჟები. ტრანსლაცია ნორვეგიიდან. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.45 მხატვრული ფილმი „უსახელო ვარსკვლავი", II სერია. 17.55 რუსეთის ოქროს რუკა. 18.30 არენა სენსაციებისთვის; 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ-ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 20.40 ტელესერიალი „ხენდრო". 21.10 ეკონომიკური მიმოხილვა. 21.40 გამორჩეულად მნიშვნელოვანი პერსონები. 22.35 ლ-კლუბი. 23.05 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „რუსეთის სამძებროს მეფეები". 00.05 ხვალის ამინდი. 00.10 საღამო მშვიდობისა. 1.30 ღამის ექსპრესი. 2.10 მხატვრული ფილმი „ორთა ბოდვა".

**НТВ** 8.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 21.00, 00.00 სევოდნია. 8.10, 9.35 ჩვენი მატიანე. 8.25, 10.45 კრიმინალი. 8.40, 11.20 კარდანის ლილვი; 8.45, 11.50 გრადუსნიკი. 8.55 ზღვარს მიღმა; 9.20 რეტრო-ნოვოსტი. 9.40, 11.45 მე პირადი მცველი ვარ; 9.50 გაზეთების მიმოხილვა; 10.10, 11.25 ხარის საათი. 10.20 გამოსადეგი. 10.35 ფინანსები და ბიზნესი. 10.50 ცინცხალი გონებით. 11.35 შოუ-ბიზნესის ახალი ამბები. 11.50 კინოსიახლენი. 12.15 დილა. 12.30 ტელესერიალი „ქალბატონი ექიმი ქუინი". 13.30 საბავშვო პროგრამა. 14.20 ახალი წიგნები. 14.35, 18.20 ფული. 14.50 კომპიუტერი. 15.00 ღია სამყარო. 15.05 ანარეკლები. 15.50 ასტროლოგის რჩევები. 16.20 დიდი ვრემეჩკო. 17.05 ტელესერიალი „გალიფაქსი". 18.35 სპორტული პროგრამა. 19.35 ტელესერიალი „ცისფერი ხე". 20.30 საფეხბურთო კლუბი. 21.40. დღის გმირი. 22.05 მხატვრული ფილმი „უკან, სსრკ-ში". 23.40 ალო, ფირმა! 00.40 ვრემეჩკო. 1.00 ტელესერიალი „სასწრაფო დახმარება". 2.20 ღამის ვრემეჩკო. 2.45 ტრაგიკომედია „ღმერთო ჩემო, რა მდაბლად დავეცი!"

# საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარი

*საქართველოში სულ 25000-ზე მეტი გვარია. პირველ ათასეულში შედიან შემდეგი გვარები: (შენიშვნა – გვარის წინ მოთავსებული ციფრი გვიჩვენებს რაოდენობის მიხედვით ადგილს, გვარის შემდეგ მოთავსებული ციფრი კი ამ გვარის რაოდენობას)*

751. შეყლაშვილი 1353
752. წილოსანი 1353
753. სურგულაძე 1352
754. მეშველიანი 1351
755. ზაქაიძე 1347
756. ნონიაშვილი 1347
757. ფალავა 1346
758. ჩიჩუა 1346
759. მესხიშვილი 1345
760. ზურაბიშვილი 1344
761. პაქსაძე 1344
762. სუხიტაშვილი 1344
763. ავაკიანი 1343
764. ლომაია 1339
765. სტეფანიანი 1339
766. ჯაშიაშვილი 1339
767. აფაქიძე 1337
768. ვერულიძე 1337
769. ხუნდაძე 1336
770. კიკალიშვილი 1333
771. ცქიფურიშვილი 1333
772. ფაჩულია 1332
773. ლუკავა 1330
774. ბიგოლაშვილი 1329
775. სომხიშვილი 1329
776. კუპრავა 1321
777. ქურასბედიანი 1320
778. ივანოვი 1319
779. სისაური 1317
780. იბრაგიმოვი 1316
781. კახიანი 1315
782. ლომინაძე 1315
783. ცქიტიშვილი 1312
784. ედიშერაშვილი 1308
785. პირველი 1308
786. თოლორაია 1307
787. ჩიხრაძე 1307
788. შურღაია 1306
789. ორმოცაძე 1305
790. საბაშვილი 1304
791. ტოგონიძე 1303
792. შარაბიძე 1301
793. ლობჟანიძე 1299
794. მირზოიანი 1298
795. ლანჩავა 1296
796. ცხოვრებაძე 1295
797. ნადარაია 1294
798. როსტომაშვილი 1288
799. შარაძე 1288
800. გოგატიშვილი 1280
801. ბელთაძე 1279
802. სარიშვილი 1279
803. ოსიპოვი 1278
804. სულაქველიძე 1278
805. ჯიქიძე 1278
806. ბაღაშვილი 1275
807. სულაძე 1275
808. ბაგდასარიანი 1272
809. ზურაბიანი 1272
810. იაკობიძე 1272
811. გოლეთიანი 1268
812. კვაჭანტირაძე 1268
813. გუგეშაშვილი 1267
814. ჭედია 1267
815. ჯავახაძე 1267
816. ბეროშვილი 1266
817. შიოშვილი 1262
818. ელიაშვილი 1261
819. ვოსკანიანი 1260
820. ჭყოიძე 1260
821. ქველაძე 1255
822. დათუაშვილი 1254
823. საყვარელიძე 1254
824. ნასიბოვი 1250
825. ბუზალაძე 1249
826. კეკელია 1248
827. მიქაუტაძე 1246
828. კოჩალიძე 1243
829. ისაევი 1242
830. ჯულელი 1239
831. ბურჭულაძე 1238
832.ართმელაძე 1237
833. გუჯეჯიანი 1234
834. ჭულუხაძე 1232
835. ბჟალავა 1231
836. თაბუკაშვილი 1231
837. ხუბაშვილი 1231
838. ბაძაღუა 1230
839. ტაბიძე 1229
840. მურვანიძე 1228
841. იზორია 1221
842. ნაბიევი 1219
843. გაგოშიძე 1218
844. ხვადაგიანი 1218
845. ქსოვრელი 1215
846. ზარდიაშვილი 1214
847. კურბანოვი 1214
848. კვანჭიანი 1213
849. მანია 1213
850. მოსიძე 1212
851. ოთიაშვილი 1208
852. ჯგერენაია 1205
853. მოვსესიანი 1204
854. ჯაჭვაძე 1203
855. ესებუა 1202
856. ვადაჭკორია 1202
857. ბახტურიძე 1201
858. დავითულიანი 1201
859. იობაშვილი 1201
860. ქოქაშვილი 1200
861. ქებაძე 1198
862. ბექიტაშვილი 1196
863. დათიაშვილი 1195
864. ქებურია 1194
865. მუზაშვილი 1193
866. ჩიტაშვილი 1193
867. კოწენიძე 1192
868. ზაქარიაძე 1191
869. ვაჩეიშვილი 1190
870. ვეფხვაძე 1190
871. კუცია 1188
872. აბულაშვილი 1187
873. აბრამიძე 1185
874. მამისაშვილი 1184
875. ნავროზაშვილი 1184
876. გავაშელი 1183
877. გზირიშვილი 1182
878. სეფიაშვილი 1182
879. ქარქაშაძე 1181
880. ვალიშვილი 1180
881. რევიშვილი 1180
882. ტარიელაძე 1179
883. ბენაშვილი 1178
884. იმედაშვილი 1177
885. ბესელია 1176
886. ბოგვერაძე 1176
887. გამეზარდაშვილი 1176
888. კალმახელიძე 1176
889. გოგავა 1175
890. არევაძე 1173
891. ლიპარტია 1173
892. აკოფაშვილი 1171
893. ზვიადაძე 1170
894. მოსეშვილი 1169
895. ასლანიშვილი 1168
896. დანელიანი 1168
897. ხუბუა 1166
898. მარქარიანი 1164
899. მალაყმაძე 1162

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №13,14,15,16,17

გაგრძელება იქნება

# კაიფვორდი



თარაზულად: 3. ლამპაზე გასაკეთებელი „ყური“; 6. „როლიანი“ საფოსტო გზავნილი; 7. „დაგვიანებული“ სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 10. „ვაშათი“ გაცხელებული ღუმელი (რუს.კავშ.); 11. კუნთებიანი „კატლეტი“; 12. „აუჩქარებელი“ ქალის სახელი; 13. მტრედის „ფეხიანი“ ნაშიერი (რუს.კავშ.); 14. „ორი“ თათი; 16. ვირის „საქოქი“; 17. „ლაიკიანი“ რუსული საკრავი; 19. „ვანოსათვის“ წინასწარ მისაცემი თანხის ნაწილი; 20. ჯერ ყეფას მიუჩვეველი „პოლიციელი“; 24. საჰაერო „ანაშა“; 26. „ცეცხლმოკიდებული“ ჯადოქარი ქალი; 27. „დინოზავრის“ მსგავსი გაზეთი; 28. „საიდუმლო“ ფიზიკოსი „პინი“ (რუს.კავშ.); 32. ის, ვინც არა ჭამს მეავე კიტრს (ანეკდ.); 24. „წებოიანი“ ყოფილი მოკრივის სახელი (რუს.კავშ.); 36. ეკლესის დამოუკიდებლობა, რომელიც „თევზის ჯიშისაა“; 37. „დონზე“ გაშენებული ინგლისის ქალაქი.

შვეულად: 1. მიხოს განუყრელი თანამგზავრი ქალი; 2. ადათიანი სასმენი „აპარატურა“; 4. საზეიმო წვეულება, სადაც „კეტებით“ გიმასპინძლდებიან; 6. „ნალების“ სამკურნალო „ადრე“ გასაკეთებელი პრეპარატი; 8. „ტაშის“ დამკვრელი სოფელი ასპინძასთან; 9. „ნოეს“ ნავი, რომელსაც ინდიელები ხმარობდნენ; 10. „მწერის“ მსგავსი ფეხბურთელი თბ.„დინამო“–ში; 11. „სამანქანო“ ბიოგრაფია; 15. კაზინოს „საკონდიტრო“ ატრიბუტი; 18. „უპრინციპო „ტურისტი“; 21. აბდუშაჰილის „საწერი“ და (ფილმ.კავშ.); 22. „გაბოლილი“ მდიდარი; 23. „ვანური“ სოფელი ახმეტის რ–ში; 25. ჰოლივუდის მსახიობი, რომელიც „ბრინჯი“ არ არის (რუს.კავშ.); 29; თავის ტკივილი, რომელიც ყველაფერზე „თანახმაა“; 30. ბერძნული ანბანის ასო, რომელიც „სპეცნაზში“ შევიდა; 31. ცხენების „ფეხსაცმელი“; 33. „რაჭული“ ეკლესია თბილისში; 34. სასაფლაო თბილისში, სადაც „კუები“ მრავლად არიან; 35. ნადირობის ქალღმერთი, რომელსაც „საქალწულე აპკი“ თმებში ჰქონდა.

აკაკი ცოტაძე

## წინა ნომერში დაბეჭდილი კაიფვორდის პასუხები

თარაზულად: 1. სენსაცია; 4. ავტომატი; 7. თავი; 9. გუბერნატორი; 11. ურნა; 12. ნევა; 13. ლუი; 14. საცობი; 17. ნიანგი; 19. კიოსკი; 21. ბურატინო; 24. გენია; 25. რადარი; 26. ჭაობი; 27. გიბონი; 29. რეკეტი; 32. მატროსი; 34. მაგნიუმი; 36. გადია; 37. მამალი; 38. კრიკეტი; 39. შამაია.

შვეულად: 1. სირია; 3. აირწინაღი; 5. ტაბუ; 6. ევაკუაცია; 8. გოგოლი; 9. გრაფინია; 10. კარსონი; 15. მეომარი; 16. კოკა; 18. აკორდი; 20. სევილია; 21. ბატისტი; 22. ანონიმი; 23. გრამატიკა; 28. გრემი; 30. ელადა; 31. ეთიკა; 33. სილა; 35. ნატო.

## ლატარია «დაბადების დღე» 26 თებერვლის ლატარიის შედეგები

*მომგებიანი ციფრებია*

1. დაბადების თვე
2. დაბადების რიცხვი
3. დაბადების წელი 19
4. ლატარიის ბილეთის ბოლო ორი ციფრი.

| | |
|---|---|
| 0 | 4 |
| 2 | 9 |
| 5 | 0 |
| 7 | 8 |

თვე და რიცხვის გამოცნობისათვის მოგება 10 ლარი თითოეულს. თვე, რიცხვი და წელი – ნივთმოგებები ტელევიზორი „ფილიპსი“ თითოეულს. ყველა ციფრის გამოცნობისთვის მოგება სუპერ-პრიზი – ავტომანქანა 2109.

10-ლარიანი მოგებები გაიცემა მეტროს სადგურ „წერეთლის“ ვესტიბიულში.

*დანარჩენი მოგებები გაიცემა ფირმის ოფისში*

მის: აღმაშენებლის 89/24 (მეტრო „მარჯანიშვილის“ თავზე), თბილქალაქპროექტის შენობა, V სართული, ოთახი 22.

*გისურვებთ წარმატებას შემდეგ გათამაშებაში.*

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93–20–36,
რედაქტორის მოადგილე: 93–18–41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444